სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხალხის საკეთილდღეოდ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და საქართველოს კპ XX ყრილობის შესახვედრად

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 269 (11575) | ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკა წინსვლის საწინდარია

საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავი. ამ დიდი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებულ იქნა ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვებანი.

ახალ, მძლავრ შრომითს აქტივობას იჩენენ მშრომელები საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად. სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მეცნიერები, კონსტრუქტორები ნაყოფიერად შრომობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა თბილისის სამრეწველო საწარმოებში მოწინავე ტექნოლოგიის დასანერგავად. განსაკუთრებით მტკიცედ მიდის წინ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. საწარმოს საამქროებში შექმნილია მრავალი ტექნოლოგიური ხაზი, მოწყობილია კონვეიერები, მთავრდება მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია.

საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის ბევრი რამ გაკეთდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში. აქ სისტემატიურად ინერგება უწყვეტ-ნაკადური ხაზები, ახალი ტვიფრები, ხორციელდება მნიშვნელოვანი ტექნიკური გაუმჯობესებანი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია ტექნიკური პროგრესის სამუშაოთა დაჩქარებასა და შესრულებაში. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის არაერთ და ორ საწარმოში. ბევრგან ჯერ კიდევ ძველი ტექნიკით მუშაობენ, მოძველებულ პროდუქციას უშვებენ. ქარხანა „ელექტროგამშვებში“, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო, კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხნებში და ზოგიერთ სხვა საწარმოში საჭირო ყურადღებას არ იჩენენ პროდუქციის ხარისხისადმი, ივიწყებენ, რომ პროდუქციის ხარისხზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს წარმოების ტექნიკური დონე, მოწინავე ტექნოლოგია.

მთელი რიგი ნაკლოვანებანია აგრეთვე ახალ სიმძლავრეთა მწყობრში ჩადგომის საქმეში. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახალხო მეურნეობის საბჭო საჭირო მზრუნველობასა და ოპერატიულობას ვერ იჩენენ კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, სახეი ჩარხების, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნების რეკონსტრუქციის სამუშაოთა, აგრეთვე ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის ახლადშექმნილ საწარმოთა დროულად დაფინანსებისათვის. ამის გამოც არის, რომ ჭიანურდება ახალ სიმძლავრეთა ამუშავება, რაც უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომ განვითარებაზე.

საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება ქუთაისის ფაბრიკებსა და ქარხნებში. ეს ხელს უწყობს იმას, რომ ქალაქის მრეწველობა ვადამდე ასრულებს დავალებებს. წელს მხოლოდ ცხრა თვეში ქუთაისის სამრეწველო საწარმოებმა გეგმის გადამეტებით სამშობლოს 32 მილიონამდე მანეთის პროდუქცია მისცეს. მიუხედავად ამისა, ბევრ საწარმოში მნიშვნელოვანი ხარვეზებია ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სამუშაოებში. ხშირია ახალ სიმძლავრეთა, მოწყობილობის მწყობრში ჩაყენების სამუშაოთა გაჭიანურების შემთხვევები. მაგალითად, ლიტოპონის ქარხანაში ძლიერ ნელა მიმდინარეობს შაბიამნის ახალი საამქროს მშენებლობა. ნაკლოვანებებია ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებშიც. ამ საწარმოს საიარაღო-სატვიფრო საამქროში მძიმე დეტალების გადატან-გადმოტანა ხელით ხორციელდება. ეს მაშინ, როცა აქ ხიდური ამწე უნდა მოუწყოთ. ნაკლოვანებებია აგრეთვე ელექტროტექნიკურ ქარხანაში, აბრეშუმ-კომბინატში და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

ამჟამად, როცა შეჯამებულია საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, როცა სახეზეა მიღწევები და ნაკლოვანებანი, მთელი ძალები უნდა წარვმართოთ გამარჯვებათა განმტკიცებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის, რათა უზრუნველვყოთ ახალი წინსვლა, სასახელო შრომითი მაჩვენებლებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას, რათა წარმატებით დავამთავროთ შვიდწლედის პირველი სამეურნეო წელი.

შვიდწლედის ადამიანები

უბადლო ოსტატი

თუ კი ოდესმე თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე გაგივლიათ, იქ, სადაც მას ჩელუსკინელების ქუჩა ჰკვეთს, შეამჩნევდით უბრალო, მორიდებულ წარწერას — „თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა“. აქ ვერც ცაში აზიდულ უზარმაზარ საკვამლე მილებს შეამჩნევთ, ვერც საწარმოსათვის დამახასიათებელი ხმაური მოგვჩრით ყურს, მაგრამ ძნელად მოიძებნება ისეთი საწარმო, რომლის პროდუქციასაც ასე ფართოდ იცნობენ.

დიახ, ქართველ ხელსაწყოთმშენებელთა მიერ დამზადებული 40 სახელწოდების მინიატიურული, მაგრამ ზუსტი ჰიდროლოგიური და აქტინომეტრიული ორიგინალური ხელსაწყოები იგზავნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, არამედ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებშიც.

ქარხანა არაერთხელ გამოსულა წარმატებით საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე და მის პროდუქციას მაღალი შეფასება მიუღია.

ამაში სხვებთან ერთად დამსახურებული ღვაწლი მიუძღვის შალვა ხუციშვილს. აი ისიც, ამ სურათზე რომ აღუბეჭდავს ჩვენს ფოტოკორესპონდენტს. საქმის უბადლო ოსტატი, ენერგიული კომუნისტი, ამწყობი-ზეინკალი უკვე 24 წელია ამ საწარმოში კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

ძნელია კაცმა იცოდე, რომელი ქვეყნის ქალაქში, ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა თუ გეოლოგიურ პარტიებში იყენებენ შ. ხუციშვილის მიერ დამზადებულ ხელსაწყოებს, მაგრამ ერთი კი ცხადია: მათ არასოდეს არ შეურცხვენიათ ოსტატი.

ახლა ამაგდარი მუშა ჩვეული ხალისით ჩაბმულია საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოწინავეთა რიგებში დგას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

7 საათიან სამუშაო დღეზე

საქართველოს მანქანათსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებმა დაიწყეს გადასვლა შემოკლებულ სამუშაო დღეზე. მუშაობისა და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებში სულ გადაყვანილ იქნება 39 ათასამდე მუშა, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

სამუშაო დღის შემოკლებისა და გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვის შედეგად მანქანათსაშენებელ, ხელსაწყოთსაშენებელ და ელექტროტექნიკურ ქარხნებში შრომის ნაყოფიერება საშუალოდ სულ ცოტა 12-13 პროცენტით უნდა გადიდდეს. მნიშვნელოვნად გადიდდება განსაკუთრებით მცირეხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთი. მუშათა ფაქტიური ხელფასი საშუალოდ 7 პროცენტიდან 15 პროცენტამდე გაიზრდება.

მანქანათმშენებლობის საწარმოებთან ერთად 7 საათის სამუშაო დღეზე გადადიან მენათობეებიც.

რესპუბლიკაში უკვე გადაყვანილი არიან შემოკლებულ სამუშაო დღეზე მეტალურგები, მადაროლები, მეცემენტეები, ქიმიკოსები და მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების მუშაკები, სულ 48 ათასზე მეტი კაცი.

1960 წელს დამთავრდება საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა ყველა მუშის, მოსამსახურისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე. (საქდესი).

ვთქვით და შევასრულეგთ

ერთი კარგი ტრადიცია აქვთ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს — რასაც იტყვიან, კედევაც ასრულებენ, მათს სიტყვას ყოველთვის სანქმე მოსდევს. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც. შვიდწლედის პირველ წელს ნაკისრი გვქონდა ჰექტარზე საშუალოდ მოგვეღო 110 ცენტნერი ყურძენი, 30 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ვთქვით და შევასრულეთ კიდეც. რთველი ახლახან დავამთავრეთ, ვიანგარიშეთ და 138 ჰექტარი მოსავლის მომცემი ვენახის თვითეულმა ჰექტარმა 131 ცენტნერი ყურძენი მოგვცა, შარშანდელზე 31 ცენტნერით მეტი. სახელმწიფოს მივყიდეთ 1.620 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ტონისა, ამით არტელის შემოსავლის სალაროს 5 მილიონი მანეთი მიემატა.

ყურძნის მაღალი მოსავლის ოსტატთა სია კვლავ გამოცდილი კოლმეურნეების სახელებით იწყება. წელს ყურძნის ბარაქიანი მოსავლის მიღებაში თავი ისახელა მესამე ბრიგადამ, რომელსაც სახელმოხვეჭილი კოლმეურნე ალექსი მექვევრიშვილი ხელმძღვანელობს.

ამ ბრიგადამ 28 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 147 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, გეგმა კი 91 ცენტნერს ითვალისწინებდა. მარტო ამ ბრიგადამ 411 ტონა ყურძენი მოგვცა. შვიდწლედის პირველ წელს ჩვენთან პირველად „დაიბადა“ მილიონერი ბრიგადა.

სასიხარულო რთველი ჰქონდათ სოციალისტური შრომის გმირის მიხეილ მექვევრიშვილის ბრიგადის წევრებს, რომლებმაც ჰექტარზე საშუალოდ 131,1 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ჰექტარზე 130-120 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს გ. ტატიაშვილის და ა. შომიაშვილის ბრიგადებმა.

მესამე ბრიგადის პირველ რგოლს, რომელსაც გამოცდილი მევენახე ვართან ნესუაშვილი ხელმძღვანელობს, წელს ვერაკენ აჯობა. 13,45 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე ამ რგოლმა 157 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, 64 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 150 ცენტნერი ყურძენი მიიღო ამ ბრიგადის მეორე რგოლმა (ხელმძღვანელი ელიკო მეზვრიშვილი).

ყურძნის უხვ მოსავალს შემოდგომით რომ ეყრება საფუძველი, ეს თვითეულმა კოლმეურნემ კარგად იცის. ამიტომ იყო, რომ გასულ შემოდგომაზე რთველის დამთავრებისთანავე ნიადაგი საგულდაგულოდ დავამუშავეთ, ფართოდ გავაჩაღეთ ვენახის მეჩხერიან ადგილებში ვაზის გადაწვენა-გამორგვის სამუშაოები. შემოდგომაზე და გაზაფხულზე 100 ათასი ვაზი გამოვრგეთ და გადავაწვინეთ, რითაც ჩვენი კოლმეურნეობის ზვრებს 25 ჰექტარი ახალი ვენახი შეემატეთ. რაკი საქმე შემოდგომით დავაწინაურეთ, გაზაფხულზე სამუშაოები აღარ ჩამოგვრჩენია.

მიღწეული ზღვარი არ არის. არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებით მიკიდწევთ იმას, რომ უფრო ბარაქიანი იყოს შვიდწლედის მეორე წლის შემოდგომა. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალ წელს ყურძნის მოსავლიანობა ჰექტარზე ავიყვანოთ 135-140 ცენტნერამდე. ამავე დროს გავაუმჯობესებთ ყურძნის ხარისხს.

ველისციხელი კოლმეურნეები კლავიც წარმატებით დაამთავრებენ სამეფო მოდგომო სამუშაოებს ვენახებში და ახალი წარმატებებით შეხვდებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს, საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას.

დ. მამისაშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ახლის გრძნოგით

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტში წელს შევიდა 55 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან 30 კომუნისტებს ეკუთვნით.

კომუნისტმა დ. კვერნაძემ შექმნა მოძრავი წრიული სახერხი დაზგა ელექტროამწეთი, რომელიც ელექტროძრავის საშუალებით მოძრაობს ხე-ტყის საწყობის მთელ სიგრძეზე. ელექტროამწე ხე-ტყის მასალას საწყობიდან იღებს და სახერხს აწოდებს. ხის გადანაჭრებს ახლა რკინიგზის გაძღელებად და გამონამუშევართა გამოსაკეტ ფიცრებად იყენებენ. ამ წინადადების განხორციელებამ შესამჩნევად დაიჩქარა შახტში ბიგების მიწოდება და აღკვეთა ხე-ტყის დანაკარგები. მისი განხორციელება შახტს წლიურად 300 ათას მანეთ ეკონომიას აძლევს.

დ. კვერნაძემ დაამზადა აგრეთვე ელექტროკომბაინი, რომელსაც შეუძლია წყალშემკრებებიდან მექანიკურად ამოზიდოს შლამი და ჩატვირთოს საშახტო ვაგონეტებში.

მექანიკოს კომუნისტ დ. გვენეტაძის წინადადებით დღეღამეს მანძილზე გადარჩეულ ფუჭ ქანს ყრიან ბუნკერებში და შემდეგ გააქვთ რკინიგზის ვაგონეტებით. ამ წინადადების დანერგვით განთავისუფლდა 6 მუშა, რაც წლიურად 46 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

მნიშვნელოვან რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორია კომუნისტი დ. ყუფარაძე. მან შეიმუშავა სპეციალური მექანიზმი მოქმედი ტრანსპორტიორ ე ბ ი ს მუშა ჯაჭვის გაწყვეტის დროს მათი ავტომატურად გამორთვის მიზნით. ახლა სწრაფად მიმდინარეობს ამ წინადადების დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაც მოკლე ხანში დამთავრდება.

ტექნიკურ პროგრესში თავიანთი წვლილი შეაქვთ აგრეთვე კომუნისტებს: კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს ო. ბრეგაძეს, ვენტილატორის უბნის უფროსს დ. მელივაძეს, სანბინაო განყოფილების უფროსს შ. გიორგაძეს, სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა უბნის უფროსს ბ. ჩიქოვანს, მოძრაობის უბნის უფროსს ბ. ჯალაღანიას და სხვებს.

ნ. ჯინჯიხაძე,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტი.

ა. ი. მიქოიანი მოსკოვიდან მეხიკოს გაემგზავრა

17 ნოემბერს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი მოსკოვიდან მეხიკოს გაემგზავრა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის გასახსნელად. მას ახლავან საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ს. რ. სტრიგანოვი და სხვა პირები.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მოორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ა. ი. მიქოიანი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ფ. რ. კოზლოვმა და დ. თ. უსტინოვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ხ. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის მინისტრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. პ. ელიუტინმა, ი. გ. კაბანოვმა და სხვებმა.

გამცილებელთა შორის აეროდრომზე იყვნენ მექსიკის ელჩი ალფონსო დე როზენცვეიგ დიასი და ისლანდიის ელჩი პიეტურ ტორსტეინსონი.

(საქდესი).

შრიალებენ ნარინჯები

ურეკი ციტრუსოვანთა ერთ-ერთი მძლავრი საბჭოთა მეურნეობაა ჩვენს რესპუბლიკაში. იგი თავის უხვმოსავლიანი პლანტაციებით წელიწადს ყველა დროს დიდებული სანახავია. მაგრამ ახლა, როცა მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ხეები დახუნძლულია ოქროსფერი ნაყოფით, გეგონება ბუნებას თავისი მადლიანი კალთა მარტო აქ დაუბერტყიაო. ურეკში ლაღად შრიალებენ ნარინჯები.

ციტრუსოვანთა კრეფა-დამზადება გაჩაღდა. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ყველაზე პირველი შეუდგა მანდარინისა და ლიმონის კრეფას.

— აბა, ყოჩაღად, ახალგაზრდებო, — ამხნევებს მკრეფავებს ბრიგადის ხელმძღვანელი წარჩინებული მეციტრუსე ი. გოგუაძე, — ხომ ხედავთ ბახმაროს მთები დათოვა, ზამთარი მოგვიახლოვდა, რაც შეიძლება სწრაფად ავიღოთ „ოქროს“ მოსავალი.

ათ ჰექტარ პლანტაციას უვლის ახალგაზრდული ბრიგადა. ციტრუსოვანთა ყველა მეცნარეს ამჩნევია მზრუნველი ხელი. ბრიგადის წევრებს ნაკისრი აქვთ 3 მილიონი ცალი ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის დამზადება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.800 ათასი ცალისა. ყოველწლიურად 3-4 ტონა ნაყოფს აბარებენ შემფუთავ ქარხანას.

ახალგაზრდა მეციტრუსეები ზაზა წილოსანი, მაყვალა ტურაშვილი, სულიკო ხელაძე ორმაგად ანაღდებენ კრეფის დღიურ ნორმებს. ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში გაიგზავნება მათ მიერ მოკრეფილი ორი ვაგონი ნაყოფი.

— ციტრუსოვანთა კრეფისათვის, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი შ. გოგუაძე, — ყოველმხრივ მზად ვართ. შემფუთავი ქარხანაც ადგილზე მოვაწყეთ. ასე რომ ხელს არაფერი შეგვშლის ვალდებულებით ნაკისრი 13 მილიონი ცალი ნაყოფის დამზადების საქმეში.

წელს მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს. წინასწარი ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ მეციტრუსეები 13 მილიონ ცალზე ბევრად მეტ ნაყოფს ჩაბარებენ სამშობლოს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა კრეფა.
სურათზე: ფ. პაიჭაძე მანდარინს კრეფს. ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სუფრის მშვენება

ხოდბი. რაიონის მშრომელებმა გადაწყვეტეს ახალი შრომითი სახეობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს. მათ ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 100 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და მიპყიდონ სახელმწიფოს 130 ტონა მანდარინი, 31 ათასი ცალი ლიმონი და სხვა ციტრუსები. ისინი ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ასრულებენ.

კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ციტრუსოვანთა კრეფა დაამთავრონ 25 ნოემბრისათვის. (საქდესი).

უპატაკეგენ სამშობლოს

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტებისა და ხილის მიყიდვის წლიური გეგმები. 13 ნოემბერს ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, რძისა — 100 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით, მატყლისა — 102,2 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავებისა — 103,7 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 111 პროცენტით, თესლოვანი ხილისა — 103 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით დამზადებულია 27 ტონა კუკოკოვანი და 114 ტონა გარეული ხილი. (საქდესი).

კაპრონი ცვლის ლითონს

მეცნიერებმა შექმნეს პლასტიკური მასების მრავალი სახეობა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმატებით ცვლიან ლითონს. პლასტმასისაგან დამზადებული ავტომანქანის ძარები, ხომალდების კორპუსები, მანქანების დეტალები არაფრით არ ჩამოუვარდება ლითონის ნაწარმს, ზოგჯერ კი თავისი თვისებებით უკეთესიც არის. მაგალითად, პლასტმასის დეტალი ლითონთან შედარებით უფრო მსუბუქია და უხმაუროდ მუშაობს.

მანქანათმშენებლობაში პლასტიკური მასების დანერგვისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის სახეი ჩარხების ქარხნის კოლექტივი. პლასტმასის დეტალების დასამზადებლად აქ იყენებენ კაპრონის ნარჩენებს, რაც უხვად მოიპოვება თბილისის კოტონის წინდის ფაბრიკაში.

ცნობილია, რომ მანქანათმშენებლობაში პლასტმასის ფართოდ გამოყენება დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

მრგვალდასახული ჩარხის ერთ-ერთი დეტალი — მილისი წინათ წნელოვანი ფოლადისაგან კეთდებოდა. მის დასამზადებლად 79 კილოგრამ და ერთ კილოგრამზე მეტი ლითონი იხარჯებოდა. კაპრონისაგან დამზადებული ეს დეტალი კი მხოლოდ 6 გრამს იწონის და 7 კილოგრამ ჯდება. ამ დეტალის პლასტმასისაგან დამზადებაზე გადაყვანა ქარხანას წლიურად ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევს. გარსაცმი წინათ თუჯისაგან ისხმებოდა. თვითეულ დეტალზე 4,8 კილოგრამი ლითონი იხარჯებოდა, ხოლო მისი თვითღირებულება 9 მანეთი და 75 კაპიკი იყო. კაპრონისაგან დამზადებული ამ დეტალის წონაა 165 გრამი, ხოლო დანახარჯები მხოლოდ 55 კაპიკი. ამით საწარმომ წლიურად 2.311 მანეთის ეკონომია მიიღო. ასეთი მდგომარეობაა სხვა დეტალების დამზადების მხრივაც. აღსანიშნავია, რომ ქარხნის წლიური ეკონომია, რაც კაპრონის დეტალების დამზადებაზე გადასვლით არის მიღებული, 9.243 მანეთს შეადგენს.

ამრიგად, ჩვენს პირობებში ფართო შესაძლებლობანი არსებობს მანქანათმშენებლობაში პლასტიკური მასების დანერგვისათვის. ეს თვითეულ საწარმოს დიდ ეკონომიას მისცემს. ამიტომ საჭირო იქნება ჩვენმა კონსტრუქტორებმა და ტექნოლოგებმა იზრუნონ იმისათვის, რომ პლასტმასისაგან უფრო მეტი დეტალები იქნას დამზადებული.

უკვე დადგა დრო, რომ პლასტმასის დეტალების დასამზადებლად შეიქმნას სპეციალური საწარმო. ასეთ საწარმოსთან ჩამოყალიბდება საკონსტრუქტორო ბიურო თავისი ტექნოლოგიური ჯგუფით. ეს ბიურო შემდგომში იმუშავებს ლითონის სხვადასხვა დეტალების პლასტმასით შეცვლის, პლასტმასით ჩამოსხმის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის და სხვ. ასეთ სპეციალიზებულ საწარმოს საშუალება ექნება პლასტმასის ნაწილები მიაწოდოს მანქანათსამშენებლო საწარმოებს, რაც მილიონობით მანეთს დაუზოგავს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

რ. ბერგაია,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს კოოპერირების და უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

მათ შეასრულეს თავიანთი სიტყვა

თუმცა სასოფლო-სამეურნეო წელი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ დღემდე გაწეული დიდი მუშაობით მთელ რაიონში ცნობილი გახდა სოფელ მიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. კიკნაველიძე) შესანიშნავი საქმეები.

აქაურ მევენახეებს, მემინდვრეებსა და მეცხოველეებს თამამად შეუძლიათ თქვან: — მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, შევასრულეთ ჩვენი სიტყვა, ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებით ვხვდებით შშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს.

ჯერ იყო და, ახალი ვენახების გაშენების წლიური გეგმა გაზაფხულზევე შესრულეს. მერე, მსხმოიარე ვენახები ჩინებულად დაამუშავეს, ბუნების სტიქიასაც სძლიეს და ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს — ჰექტარზე 55 ცენტნერის ნაცვლად 62 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, სახელმწიფოს 1.500 ცენტნერის ნაცვლად 1.630 ცენტნერი ყურძენი მიჰყიდეს. ამ წარმატებაში ყველა მევენახემ შეიტანა წვლილი, მაგრამ აქ გამარჯვებას უპირატესად კომუნისტ ბრიგადირებს სოციალისტური შრომის გმირს კ. ქარაბაკს და დ. სვანიძეს უმადლიან.

ზვრების ბარაქას ყანების ბარაქაც მოჰყვა. ახლა, როცა სიმინდის მოსავალი მთლიანად აღებული და დაბინავებულია, ყველას ახარებს საკოლმეურნეო შრომის ნაყოფი — თვითეულ ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 12 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 20 ცენტნერი სიმინდი.

გამარჯვება მოიპოვეს მეცხოველეებმაც. ფერმის მუშაკებმა, რომელსაც კარგი ორგანიზატორი თ. სვანიძე ხელმძღვანელობს, წლიური გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამის ნაცვლად უკვე ათ თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1,045 კილოგრამი რძე მიიღეს, ამასთან ვალდებულებით ნაკისრი 1.000 ტონის ნაცვლად 1.100 ტონა სილოსი დაამზადეს. კარგი მუშაობით გაახარეს თანასოფლელები მწველავებმა გ. ჭელიძემ, ე. ჭრელაშვილმა და ვ. გორგოძემ. მეცხოველეთა თავდადებული, მამაცური შრომით შეძლო კოლმეურნეობამ ვადამდე და გადამეტებით შეასრულებინა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად კოლმეურნეები თავდადებულად იბრძვიან, რომ დროულად დაამთავრონ ვენახებისა და ბაღების სამემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, წლის ბოლომდე თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა აიყვანონ 1.200 კილოგრამამდე, სასახელოდ დამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული განათლება და ცხოვრება

ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი ქობულეთის რაიონის პარტიული განათლების ქსელში.

რაიონში მუშაობს 99 პოლიტსკოლა, წრე და სემინარი, რომლებშიც გაერთიანებულია 1.363 მსმენელი, მათ შორის 880-ზე მეტი კომუნისტი. მიმდინარე სასწავლო წელს დამატებით შეიქმნა სკკპ ისტორიის შემსწავლელი 2 წრე და 6 სემინარი. ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლასთან დაკავშირებით გადიდდა აგრეთვე ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობა.

მისასალმებელია ისიც, რომ ახალ სასწავლო წელს წინა წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ უპარტიო აქტივისტთა რაოდენობა.

ახალი სასწავლო წლის განვლილ პერიოდში მეტ წილ წრეებსა და სემინარებში პირველმა სამმა-ოთხმა მეცადინეობამ მაღალ იდეურ დონეზე ჩაიარა. ეს განსაკუთრებით ითქმის ოჩხამურის ჩაის ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებულ სკკპ ისტორიის შემსწავლელ თეორიულ სემინარზე, ტორფის ქარხნის, რკინიგზის ქობულეთის სადგურის, სოფელ ქობულეთის საშუალო სკოლის, ზედა კვირიკეს კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციებთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებზე, რაც პროპაგანდისტების კ. დუმბაძის, ა. სტამბოლიშვილის, ი. ბერძენიშვილის, დ. ბეჟანიძის და ს. ჯაფარიძის ნაყოფიერი და მონდომებული მუშაობითაც უნდა აიხსნას.

კიდევ ერთი ასეთი მაგალითი. მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ერთ-ერთი მორიგი მეცადინეობა მიეძღვნა თემას: „სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაცია საბჭოთა მეურნეობაში“. სემინარის ხელმძღვანელმა, მეურნეობის ეკონომისტმა ჭ. არაბიძემ გადასაცემი თემის ღრმა ცოდნა და მომზადება გამოავლინა. რაც მთავარია, მან ეს თემა უნარიანად და საინტერესოდ დაუკავშირა მეურნეობის ცხოვრებას. ამიტომ იყო, რომ მსმენელებმა თ. კოღუამ, გ. გუბელიძემ, თ. სანიკიძემ, ქ. არაბიძემ და სხვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სემინარის მუშაობაში და განსახილველი თემის გაშუქებაში. ახლა აქ ყველა აღიარებს და თვალნათლივ ხედავს, რომ სემინარმა, რომელიც ორი წელია ნაყოფიერად მუშაობს, დიდად შეუწყო ხელი მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებას.

ასევე ბევრი რამ კარგი შეიძლება ითქვას კადრების ეკონომიურ სწავლებაზე ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი მ. დიდენკო) მუშაობის პრაქტიკიდან.

როგორც აღვნიშნეთ, რაიონის პარტიული განათლების ქსელში ძირითადად კარგად დაიწყო და მიმდინარეობს ახალი სასწავლო წელი. მაგრამ ბევრგან სერიოზულმა ნაკლოვანებებმაც იჩინა თავი. მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები იყო ხუცუბნის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებულ მიმდინარე პოლიტიკისა და საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებში.

დაგვაში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის თეორიული სემინარის ხელმძღვანელმა თ. გონიადიმ და ქვედა კვირიკეში პოლიტსკოლის პროპაგანდისტმა რ. ლახიშვილმა დაბალ იდეურ დონეზე ჩაატარეს მეცადინეობა.

ექვსი წრე და სემინარი მუშაობს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში. ცხადია, არასწორი იყო, როცა ყველა მათგანის მეცადინეობა ერთსა და იმავე დღეს დანიშნეს და ამის გამო ზოგან მეცადინეობა მოიწყო თვალსაჩინოების გამოუყენებლად და მოუწყობელ ოთახებში. მთელი რიგი წრეები და სემინარები სიძნელეებს განიცდიან სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. ეს ნაკლოვანებები დროზე უნდა გამოსწორდეს.

ალ. დოლიძე,
გაზეთ „ჭობულეთელი კოლმეურნის“ რედაქტორი.

ყოველი წუთი ძვირფასია, მეგობრებო!

...რომ ციხეკენ მიიწევდეს სართულები

ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ ახალწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების პოლიგონი, რომელიც სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის ტერიტორიაზეა, შედარებით ახალი საწარმოა, ვრცელ მოედნებზე მზადდება ბეტონისა და რკინაბეტონის ნაწარმი, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის სადგურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობებს ხმარდება. აქედან რეს-პუბლიკის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება მონოლითური სართულთაშორის გადასახურავი ფილები, მრავალლრუიანი კოვები, მოზაიკური საფეხურები და სხვა ნაწარმი.

ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს სამშენებლო დეტალების გამოშვება. 1956 წელს დამზადებულ იქნა 1.250 კუბმეტრი რკინაბეტონის ნაწარმი, 1957 წელს — 2.740, 1958 წელს— 3.950, ხოლო შვიდწლედის პირველ წელს გამოუშვებენ ბევრად მეტს, ვიდრე წინა წლებში.

დიდი გეგმებია დასახული მომავლისათვის. შვიდწლედის განმავლობაში რკინაბეტონის ნაწარმის გამოშვება გაიზრდება ორნახევარჯერ, 1960 წლისათვის გამოშვებული იქნება 6.000 კუბმეტრი პროდუქცია.

ამას წინათ პოლიგონში მიიღეს საარმატურო ჩონჩხების ზუსტი ელექტროშედუღების ჩარხი. მისი ამუშავება დიდად შეამსუბუქებს ერთ-ერთ შრომატევად სამუშაოს. მალე მიიღებენ არმატურის საჭრელ მექანიზებულ მაკრატლებს. პოლიგონს აქვს საკუთარი ავტოსატვირთავი, რომელსაც უნარიანად მართავს კ. არძინბა.

წარმოების მოწინავე ადამიანების ინიციატივით რეკონსტრუირებულ იქნა გასატხრი ფილების მექანიზებული დამზადება, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

საწარმოო მაჩვენებლების დაფაზე ყოველთვიურად აკრავენ მუშაობის შედეგებს. როგორც წინა თვეებში, ისე ახლაც შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ვ. ლუპანოვის მეარმატურეთა ბრიგადა, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდების მოპოვებისათვის იბრძვის. აღნიშნული ბრიგადა დავალებებს 190-200 პროცენტით ანადგენს.

ასევე კარგი მაჩვენებლები აქვს მტვირთავთა ბრიგადას, რომელსაც ა. კარლოვა ხელმძღვანელობს. 170-180 პროცენტით გაანაღდეს თვის დავალება ფ. დამასკინის, ვ. ხოხლოვისა და ნ. კრუგლოვის მებეტონეთა ბრიგადებმა.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: (წინა პლანზე) ელექტროშემდუღებელი ი. კონსტანტინოვი.

ფოტო გ. ტოლმაჩოვისა.

კომუნიზმის მშენებლობის თეორიული პროგლემები

ოცნება სინამდვილედ იქცევა

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის გზები

სკკპ XXI ყრილობის მასალებში გაშუქებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან. მათგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პრობლემა.

ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირებულობის წარმოშობა განპირობა შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების წარმოშობამ და საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფამ.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობამ მკვეთრი გამოვლინება ჰპოვა კაპიტალიზმის პირობებში და განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში.

მარქსიზმის ფუძემდებლები გვასწავლიან, რომ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობა დაკავშირებულია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი შრომის იმ ძველი განაწილების მოსპობასთან, რომლის დროსაც ადამიანები მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე მოჯაჭვული არიან ერთ პროფესიაზე.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში საფუძველი გამოეცალა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობას. სოციალიზმის გამარჯვებასთან და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებულ იქნა დაპირისპირებულობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები ჩვენს ქვეყანაში ერთმანეთის მტრები კი არ არიან, როგორც ეს კაპიტალიზმის პირობებშია, არამედ — ერთიანი საწარმოო კოლექტივის ამხანაგები და მეგობრები. ჩვენს ქვეყანაში შრომა სამარცხვინო და მძიმე ტვირთიდან, როგორიც იგი წინათ იყო, ღირსების, სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმედ იქცა.

ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირებულობის მკვეთრი გამოვლინება ჰპოვა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ საბჭოთა კავშირში წამოაყენა ახალი პრობლემა — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პრობლემა. გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავება ამით ეხსნება, რომ მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი კულტურულ-ტექნიკური დონის მიხედვით ჯერ კიდევ ვერ დგას ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონეზე, ხოლო კოლმეურნეების მნიშვნელოვანი ნაწილი — აგრონომიულ მუშაკთა დონეზე. ეს არის შრომის ძველი განაწილების გადმონაშთები, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავებით, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავებით.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია მიმდინარეობს მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ამაღლებისა და კოლმეურნეების კულტურულ-ტექნიკური დონის აგრონომიული მუშაკების დონემდე ამაღლების გზით. ეს პროცესი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების აუცილებელ მოვლენას.

სოციალისტური საზოგადოება მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შესაბამისად ამზადებს მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, მაგრამ ეკონომიური მიზეზების გამო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველა თავის წევრს მისცეს ასეთი მომზადება. კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ფიზიკური და გონებრივი შრომის ხასიათის ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით საზოგადოება ამ ამოცანასაც განახორციელებს.

ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის საფუძველს წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა. „ახალ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველზე, — აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე, — სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარების, შრომასთან სწავლების სულ უფრო მჭიდრო შეერთების კვალობაზე თანდათანობით წაიშლება არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის“.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პროცესში წარმოების ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ხდება შრომის ძველი შინაარსის უკუგდება, მისი შეცვლა ახალი სოციალისტური შინაარსით, რომლის მამოძრავებელი ფაქტორია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრების პირველი ეტაპი იწყება კომუნისტურ შაბათობათა ჩატარების პერიოდიდან, 1919 წლის გაზაფხულიდან. შაბათობაში აშკარა გამოვლინება ჰპოვა ახალი, კომუნისტური შრომის ნიშნებმა. კომუნისტურ შაბათობათა უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მოასწავებდნენ ძირეულ გარდატეხას ადამიანთა შეხედულებებში შრომაზე, წარმოადგენდნენ, ლენინს განსაზღვრით, კომუნიზმის ყლორტებს. მათ დასაწყისი მისცეს საზოგადოებრივი შრომის კომუნისტურ ფორმას, რომელიც ემყარება პრინციპს „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“.

პირველი ხუთწლედის, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში კომუნისტურ შაბათობათა ტრადიციებმა გამოხატულება ჰპოვა წარმოების დამკვრელთა მასობრივი მოძრაობით, რომლის ლოზუნგი იყო — „ხუთწლეული ოთხ წელიწადში!“, და სტახანოვური მოძრაობით.

სოციალისტური შეჯიბრების პროცესში ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეუფლებიან ახალ, მოწინავე ტექნიკას, ვახუწყვეტლივ სრულყოფენ და ავითვარებენ წარმოების იარაღებს, იმაღლებენ კულტურულ-ტექნიკურ დონეს. რამდენადაც წინ მიიწევს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ, იმდენად იცვლება და შეიცვლება ფიზიკური შრომის ხასიათი გონებრივ შრომასთან მისი დაახლოების მიმართულებით.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობა კიდევ უფრო ამაღლდა, რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ახალი პატრიოტული მოძრაობა — შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელწოდების მოსაპოვებლად. ეს მოძრაობა დაიწყო პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში. მის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მახარისხებელი სადგურის დეპოს მუშები — კომუნისტები და კომკავშრომელები. ეს მოძრაობა წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმას ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეს ბრიგადები იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის წარმოების პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გზით, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზით. ასეთი კოლექტივები შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის შეჯიბრებაში ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

კომუნისტური შრომის კოლექტივების სახელწოდების მოპოვებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ არსებით დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მისი მონაწილენი მოითხოვენ ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამყარებას ადამიანთა შორის არა მარტო წარმოებაში, არამედ ყოფაცხოვრებაშიც, რათა გამოიმუშაონ ახალი საზოგადოების ადამიანის საუკეთესო თვისებები, რომლისთვისაც შრომა პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება გახდება.

მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების კომუნისტი და კომკავშირელი მუშების მაგალითისამებრ საქართველოშიც შექმნილია და წარმატებით მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები: ირჩილ ძაბაშვილისა და რაფიელ ჭიჭინაძისა — რუსთავში, შოთა კუბლაშვილისა — ტყიბულში, ვერამ ჩადუნელისა და ზაურ რუსიასი — თბილისში და ბევრი სხვა.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნიკური პროგრესი. კაპიტალიზმის პირობებში ტექნიკური პროგრესი აძლიერებს სოციალურ წინააღმდეგობებს. ავტომატიზაცია კაპიტალიზმის პირობებში ზრდის უმუშევრობას, იწვევს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სადაც წარმოების საშუალებები ხალხის კუთვნილებაა, ტექნიკური პროგრესის სოციალური შედეგები დადებითი, პროგრესული ხასიათისაა, არ იწვევს უმუშევრობას. ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერება ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში 1932 წლიდან 1956 წლის ჩათვლით გაიზარდა 5-ჯერ, ამავე დროის განმავლობაში მუშების საშუალო წლიური როდენობა მრეწველობაში გაიზარდა 2,5-ჯერ. კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანდათანობით დანერგვის კვალობაზე მომავალში შრომის ნაყოფიერების ტემპები კიდევ უფრო გაიზრდება. ტექნიკური პროგრესი, ავტომატიზაცია იწვევს ფიზიკური შრომის შინაარსის შეცვლას, ქმნის გონებრივი და ფიზიკური შრომის ურთიერთ შენაცვლების შესაძლებლობას, მათ შორის არსებითი განსხვავების მოსპობის შესაძლებლობას.

სკკპ XXI ყრილობამ ამოცანად დასახა შვიდწლედის განმავლობაში წარმოების კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნას ხელით მუშაობა (ძძიმე შრომა) მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმმა სპეციალურად განიხილა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის საკითხები და შეიმუშავა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ტექნიკური პროგრესის სფეროში პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. პლენუმმა განსაზღვრა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების, მოძველებული მოწყობილობის, ტვიფრებისა და ინსტრუმენტების შეცვლის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების კონკრეტული ამოცანები.

სოციალიზმის პირობებში ავტომატიზაცია არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიური პრობლემაა, ის წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემასაც. „კომუნისტურ პარტიას საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის რეზოლუციაში, — მიაჩნია ტექნიკური პროგრესის ძირითად საშუალებად, უმომლისოდაც შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის მაღალი ტემპები, წარმოების მექანიზაციის და ავტომატიზაციის აქვს არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა, არამედ უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია შეეფერება მშრომელთა საარსებო ინტერესებს, ამსუბუქებს და ძირეულად ცვლის მილიონობით ადამიანის შრომის ხასიათს, ზრდის მის ნაყოფიერებას, ქმნის სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლებისა და გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებული განსხვავების ლიკვიდაციის პირობებს“.

წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია არ გამოიწვევს ფიზიკური შრომის მოსპობას ან გონებრივი შრომის შეცვლას მანქანების მუშაობით. ინტელექტუალური შინაარსით აღსავსე ფიზიკური შრომა კომუნიზმის დროს ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებად იქცევა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე სოციალიზმის პირობებში ხდება სამუშაო დღის თანდათანობით შემცირება, რაც აგრეთვე უმნიშვნელოვანესი პირობაა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევისა. სამუშაო დღის შემცირება ერთი მხრივ ამსუბუქებს შრომას, ხოლო მეორე მხრივ ზრდის თავისუფალ დროს, რაც მშრომელებს საშუალებას აძლევს ინმაღლონ კულტურულ-ტექნიკური დონე.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთი პირობაა საყოველთაო პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება, რომლის დროსაც უნდა მოხდეს სწავლების დაკავშირება სასარგებლო შრომასთან.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებას „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა, ყველა ადამიანის ყოველმხრივ განვითარებულ მშრომელებად გადაქცევა, რომელთაც შეეძლებათ ითვისონ შრომის ორივე სახე, დიდ ცვლილებებს შეიტანს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რასაც შედეგად მოჰყვება მატერიალური და სულიერი დოვლათის განაწილებაში ადამიანთა შორის თანაბარი ფაქტიური თანასწორობის დამყარება წარმოების საშუალებებისადმი მათი თანასწორი დამოკიდებულების შესაბამისად.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კომუნისტურ აზრდას, მათში მაღალი კომუნისტური მორალის თვისებების დანერგვას.

გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა მიგვიყვანს ერთი მხრივ მუშათა კლასსა და გლეხობას და მეორე მხრივ ინტელიგენციას შორის სოციალური მიჯნების მოსპობამდე.

ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობა, ე. ი. მათ შორის კულტურულ-ტექნიკური დონის მიხედვით განსხვავების მოსპობა არ ნიშნავს, რომ შრომის ამ ორ სახეს შორის ყოველგვარი განსხვავება მოისპობა. მათ შორის დარჩება კიდევ არაარსებითი განსხვავება, რაც დაკავშირებულია წარმოების სხვადასხვა დარგების, მეცნიერებისა და კულტურის თავისებურებებთან და ხასიათთან.

ს. სვანიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფხიზელი თვალით

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო ხალხო!“ — თქვა გულში ნელი ლუკაშვილმა, როცა უკანასკნელი გამოცდები ჩაბარა და სახლს მიაშურა გახარებულმა. ეს იყო ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში. რამდენიმე დღის შემდეგ სიმწიფის ატესტატიც მიიღო და გორის ბამბეულის კომბინატს ესტუმრა.

— რისთვის ჯარჯლობართ, გოგონა, რაში დაგეხმაროთ? — შეეკითხნენ კადრების განყოფილებაში. — ეგ გოგონამაც მოკრძალებით წარადგინა ფაქიზი ხელით დაწერილი განცხადება.

ახე დაიწყო ახალგაზრდა ქალიშვილის გამოსვლა ცხოვრების დიდ გზაზე. ნელმა კომბინატში დაიწყო მუშაობა, გულდასმით გჯცნო წარმოების მთელ რიგ პროცესებს და ბოლოს საქსოვი ფაბრიკის საწუნმდებელ საამქროში ჩარიცხეს წუნმდებლად.

ნელიმ მალე გამოამჟღავნა თავისი უნარი და გემოვნება. გულდასმით აკვირდება თვითეულ მეტრ ქსოვილს, დინჯად ამოწმებს მზა პროდუქციას. ამიტომაც ანდობენ მას ახეთ პასუხსაგებ საქმეს. ნელი ლუკაშვილი ახლა ყოველდღე 6.500-7.000 მეტრ ქსოვილს ამოწმებს, იგი ერთ-ერთი საუკეთესო წუნმდებელია საქსოვ ფაბრიკაში, სადაც მას საამაყოდ უჭირავს საამქროს გარდამავალი დროშა.

ნელი ლუკაშვილი.

საზეიმო დაპირება და გაჭიანურებული მშენებლობანი

გიორგი საგინაშვილი ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსად მოვევლინა ჭიათურას. ჩვენთვის ძველია მისი საინჟინრო ნიჭისა და უნარის შეფასება. სამაგალითოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საგინაშვილი საზეიმო დაპირების და... შემდეგ მისი დავიწყების ოსტატია. უფრო მეტიც, — მან თვალსაჩვენოს „სახელიც“ მოიხეჭა. ეს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ იყო. სამეურნეო წელი იწურებოდა. ბინათმშენებლობის გეგმა არ სრულდებოდა. საგინაშვილმა „ხერხი იხმარა“ — ზოგიერთის მხარდაჭერით მშენებლობანი დამთავრებულად უჩვენა. მაგრამ ამჯერად კოკამ წყალი ვეღარ მოიტანა — ამბავი გახმაურდა. გიორგი საგინაშვილი იმხანად სამუშაოდან მოხსნეს. ჭიათურელი მაღაროელები კი იძულებული იყვნენ ახალი ბინებს ნაცვლად კვლავ დაპირებებს დასჯერებოდნენ.

გ. საგინაშვილმა შარშან ტრესტ მარგანმშენში წაიმუშავა. მაგრამ ჭიათურაში ბევრს გაუკვირდა, როცა მიმდინარე წლის დასაწყისიდან იგი მძლავრი სამმართველოს — ჭიათურმშენის უფროსად დანიშნეს.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებს ახსოვთ გ. საგინაშვილის საპასუხო, რიხიანი გამოსვლა სამეურნეო წლის დასაწყისშივე. მეორე კვარტალში უეჭველად დავამთავრებთ სილიკატური აგურის ქარხნის, მაღარო „ახალი ითხვისის“ ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობას; მეოთხე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადავცემთ დარკვეთის ახალ მაღაროს და მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკასო, — იფშვნებოდა გ. საგინაშვილი აქტივის ტრიბუნიდან.

გ. საგინაშვილს და ჭიათურმშენის ხელმძღვანელებს ასეთი დაპირებები ბევრჯერ მიუცია ამ პარტიის ქალაქკომის ბიუროსთვისაც. ბიუროც ცვლიდა თავის დადგენილებებს, მშენებლობათა დამთავრების ვადებს ერთი-ორი თვით და ფსწევდა... სილიკატური აგურის ქარხნისა და „ახალი ითხვისის“ ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა კი წლობით ჭიანურდება. არავინ იცის, როდის დამთავრდება მარგანეცის ახალი ბაგა-ბორეული ფაბრიკის მშენებლობა.

ჭიათურმშენის ხელმძღვანელებს მარტო ზეპირი დაპირებები როდი უყვართ. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით მათ ჯერ კიდევ 17 მარტს იკისრეს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიურ გეგმას შესასრულებდნენ 15 დეკემბრისათვის; აამუშავებდნენ დარკვეთის ახალ მაღაროს და ფაბრიკას — მეოთხე კვარტალში, სილიკატური აგურის ქარხანას — მეორე კვარტალში, მაღარო „ახალი ითხვისის“ კომბინატს — აპრილშე; შრომის ნაყოფიერებას გაზრდიდნენ 10 პროცენტით, მშენებლობას გააიაფებდნენ — 1.413.000 მანეთით, სამშობლოს მისცემდნენ 500.000 მანეთ ზეგეგმითს დაგროვებას და ა. შ.

მაგრამ ვალდებულებები ქაღალდზე დარჩა.

ყოველივე ეს იმის ბრალიც არის, რომ სუსტად მუშაობს ჭიათურმშენის პარტიული ორგანიზაცია (ბიუროს მდივანი ამბ. დ. კუპატაძე). აქ დაივიწყეს მშენებლობის მიმდინარეობისადმი კონტროლი, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ადამიანებთან ორგანიზატორული მუშაობა.

პარტიულ ორგანიზაციას ივნისში გაახსენდა მშენებლობის ხარისხი. გადაწყდა 26 ივნისს პარტიულ კრებაზე მოესმინათ ეს საკითხი. მომხსენებელი იყო ჭიათურმშენის მთავარი ინჟინერი ლ. თოფურია, მაგრამ იგი „ავად გახდა“ და აღნიშნული საკითხი ამოღებულ იქნა დღის წესრიგიდან. ამის შემდეგ ამ საკითხს აღარავინ დაჰბრუნებია.

ასეთი მუშაობით ბუნებრივია, შორს ვერ წახვალ. ჭიათურმშენმა ათი თვის დავალება 64.5 პროცენტით შეასრულა, თვითეული მუშის გამომუშავების გეგმა შესრულდა 80,7 პროცენტით; ხელფასში გადაიხარჯა 124.000 მანეთი. მშენებლობის თვითღირებულება 9 თვეში გაიზარდა 1.839.000 მანეთით. მშენებლობები კვლავ ჭიანურდება, მათი დამთავრების ვადები ირღვევა.

მარგანეცის ქალაქის მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ კარგ ბინებს, გზებს, სამრეწველო ნაგებობებს და არა ლტონ ვალდებულებებსა და დაპირებებს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

იგადეგა ახალმშენებლობათა პროექტები

ლამაზი და მიმზიდველია ჩვენი ქალაქები და სოფლები. ისინი კიდევ უფრო გამშვენიერდება და გაფართოვდება უახლოეს წლებში. მათი განაშენიანების გენერალური გეგმები მუშავდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა კომიტეტთან არსებულ ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში“.

ინსტიტუტის მუშაკთა ერთმა ჯგუფმა უკვე დაამუშავა სტალინირის, ყვარლის, მცხეთის დაგეგმარების პროექტები. ამ პროექტებით გათვალისწინებულია ახალი დაუსახლებელი ფართობების ათვისება და ქალაქების შემდგომი ზრდის პერსპექტივები.

არქიტექტორებმა ა. ნიკოლაიშვილმა და ე. ბავრატიონმა შეასრულეს კურორტ-ქალაქ ბორჯომის დაგეგმარება. რამდენიმე წლის მანძილზე ბორჯომს დაამშვენებს ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საცხოვრებელი სახლები და სხვ.

ინსტიტუტის კოლექტივმა დაკვეთა მიიღო თურქმენეთის სს რესპუბლიკიდან ახალ საკურორტო ქალაქ არჩმანის დასაპროექტებლად, სადაც სრულიად დაუსახლებელ ადგილას აშხაბადიდან დაახლოებით 120 კილომეტრის დაშორებით აღმოჩნდა ძვირფასი სამკურნალო ცხელი წყლები. არქიტექტორების ი. ზალიშვილისა და გ. ჭიაურელის პროექტით უკვე დაიწყო ამ კურორტ-ქალაქის მშენებლობა. აუჩქმანში შენდება დიდი სანამბანაო, სანატორიუმები, საკურორტო დარბაზი (კურზალი), საცხოვრებელი სახლები, კულტურისა და დასვენების დიდი პარკი, სტადიონი და სხვა ნაგებობანი. ქალაქი გათვალისწინებულია 5.500 მცხოვრებისა და 800 დამსვენებლისათვის.

უახლოეს ხანში ინსტიტუტის კოლექტივი შეუდგება კურორტების ბაკურიანის, ავადხარისა და ახალი ათონის განაშენიანების პროექტის შედგენას.

მშობელთა უნივერსიტეტი

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმე დარბაზში გაიმართა მშობელთა უნივერსიტეტის შექმნისადმი მიძღვნილი შეკრება, რომელსაც დაესწრნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, განათლების მუშ

ჰარსტი: „მათ საოცრად ბევრს მიაღწიეს“

ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის წინ ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ როსუელ ჰარსტთან. ინტერვიუს სათაურია „რას შეიტყობს რუსეთის № 1 კაცი აიოვის ფერმაში?“. ქვემოთ ქვეყნდება ამ ინტერვიუს ტექსტი.

როსუელ ჰარსტი, აიოვის შტატის კუნ-რაპიდსის მცხოვრები, ამერიკელი მოქალაქეა, რომლის ნახვა ხრუშჩოვმა სპეციალურად შეიტანა თავისი ვიზიტების პროგრამაში. რატომ? რის სწავლას ფიქრობს ხრუშჩოვი აიოველი ფერმერისაგან? ამ კითხვაზე პასუხი რომ მიეღო, „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტს“ ინტერვიუ ჰქონდა ბ-ნ ჰარსტთან.

როგორც სიმინდის ჰიბრიდული თესლის მწარმოებელი, ბ-ნი ჰარსტი დაეხმარა ხრუშჩოვს დაეწყო საბჭოთა პროგრამა სიმინდის დარგში. მან რუსეთის ლიდერი მის ყირიმის ვილაში ინახულა და საათები გაატარა მასთან საუბარში. ინტერვიუ, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება, შესაძლებლობას მოგცემთ უკეთ გაიგოთ ხრუშჩოვის მოახლოებული ვიზიტი.

კითხვა. ბ-ნო ჰარსტ, სახელდობრ რის გამორკვევა სურს ხრუშჩოვს აიოვაში?

პასუხი. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან უბრალო რამეა. ვფიქრობ, მას სურს გაიგოს, როგორ აწარმოოს მეტი და უკეთესი ხარისხის სურსათი ნაკლები შრომის დახარჯვით.

კითხვა. დაინტერესებულია თუ არა იგი მეტი შეიტყოს სიმინდის შესახებ?

პასუხი. თქვენთვის მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ ხრუშჩოვი მაინცდამაინც ალიან როდინ დაინტერესებული იქ საქმეებით, რომლებზეც მთელი მსოფლიო ფიქრობს, რომ იგი დაინტერესებულია.

რუსეთი ამჟამად საკმაო რაოდენობით აწარმოებს სიმინდის ჰიბრიდულ თესლს საკუთარი საჭიროებისათვის. რუსებს აქვთ სიმინდის თესლის სახმობი, დასაკალიბებელი და პარკებში დასაფასებელი ქარხნები, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენს ქვეყანაში გვაქვს. მათ აქვთ სიმინდის თავიანთი საკუთარი ამოსავალი ხაზები, რომლებიც საკუთარი სიმინდიდან მიიღეს.

კითხვა. მაშ რის გამორკვევა სურს ხრუშჩოვს?

პასუხი. უწინარეს ყოვლისა იგი დაინტერესებულია სიმინდის უცვლელად. სხვა ისეთ კულტურებთან უთესლბრუნვოდ მოყვანით, როგორიც სამყურაა: სიმინდი, სიმინდი და სიმინდი მუდამ ერთსა და იმავე მინდორზე. თესლბრუნვა თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ისევე მოძველდა, როგორც დინოზავრები, და მაინც ბევრი ამერიკელი არ ცნობს ამას. ბ-ნი ხრუშჩოვი გატაცებულია იმით, რომ დაინახოს, როგორ აკეთებენ პირუტყვს სიმინდის ნაქუჩს, როგორც ეს ყველგან უნდა იყოს. მაგრამ მას თვით სიმინდის ნაქუჩი როდი აინტერესებს. მას სურს დაინახოს, როგორ აკეთებენ პირუტყვს სიმინდის ღეროს. მას აინტერესებს ის ხერხები, რომლებსაც ამ ქვეყანაში იყენებენ იმისათვის, რომ ჰაერიდან ცილა მიიღონ და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკვებად გამოიყენონ იგი, როგორც ისეთი გვერდითი პროდუქტებისაგან მიღებული ცილის იაფი შემცველი, როგორიც არის სოიის, სელის ან ბამბის ანარჩენი. მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა და ცხვრებს შეუძლიათ მოინელონ და გამოიყენონ უჯრედისი. მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ეს, თუ არა აქვთ ბევრი ცილა, იმიტომ რომ უჯრედისი მხოლოდ დაახლოებით 2 პროცენტ ცილას შეიცავს. ამრიგად, ხრუშჩოვს სურს შეიტყოს შარდოვანას შესახებ. შარდოვანა სინთეზური პროდუქტია, რომელსაც ჰაერიდან იღებენ, და იგი სავსებით გამოსადეგია როგორც ცილა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრისათვის. გირვანქა შარდოვანა დაახლოებით ორი ცენტი ღირს, ხოლო მისი რაოდენობა განუსაზღვრელია, მაშინ როცა სხვა ცილები — მზესუმზირას თესლის ანარჩენი, როგორც ამას ადგილი აქვს ხრუშჩოვის ქვეყანაში, გირვანქა 8-დან 10-მდე ცენტი ღირს.

კითხვა. ეს ყველაფერია, რაც მას დაინტერესებს?

პასუხი. იგი ასევე დაინტერესებულია სიმინდის წარმოებისათვის მანქანების ფართოდ გამოყენებით. ჩვენ თესვისათვის, დამუშავებისა და მოსავლის აღებისათვის, მთელი მუშაობისათვის უფრო სრულყოფილი მანქანები გვაქვს, ვიდრე მას აქვს. ჩვენ ვიყენებთ სიმინდის სათეს მანქანებს, რომლებიც ერთდროულად 6 მწკრივს თესავენ, და ამ მანქანებს მხოლოდ ერთი კაცი მართავს. ჩვენ აგრეთვე გვაქვს ექვსმწკრივიანი კულტივატორები, რომლებსაც ერთი კაცი მართავს. ახლა, თუ რუსებს ექვსმწკრივიანი სათესი ან ექვსმწკრივიანი კულტივატორი აქვთ, მათ ერთი კაცი ეყოლებათ ტრაქტორზე და სამი კაცი მანქანებზე ტრაქტორს უკან. ასევე, როცა ჩვენ საქუცმაცებელს ვიყენებთ სიმინდისათვის, მასზე ესვამთ ერთ კაცს, და იგი ურიკას ტვირთავს დაახლოებით 15 წუთში. თუ რუსებთან სიმინდის საქუცმაცებელს ხმარობენ, ისინი ამ ოპერაციაზე 7 ან 8 კაცს გამოიყენებენ.

კითხვა. მაგრამ რატომ მოდის იგი კუნ-რაპიდსში?

პასუხი. იგი კუნ-რაპიდსში იმიტომ ჩამოვა, რომ ჩვენ ნამდვილად ვაკეთებთ იმ საქმეებს, რომლებზეც მას სმენია. მისი მუშაკები იყვნენ აქ და ნახეს, როგორ ვასუქებთ ჩვენ 4 ან 5 ათას სულ პირუტყვს სიმინდის დაქუცმაცებული ნაქუჩის, ბადაგისა და შარდოვანას ნარევით. მათ ნახეს, რას აკეთებს მინერალური სასუქი წარმოებისათვის და როგორ ამართლებს მექანიზაცია თავის დანიშნულებას.

კითხვა. ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ მას პირუტყვის საკვები არ ჰყოფნის?

პასუხი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რუსები თავს ნებას ვერ მისცემენ ხელგაშლილი იყონ. თქვენ გესმით, რომ მოწების მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირში გვალვიან ზონაშია. ჩვენ იმდენად მდიდარი ვართ, რომ ხალისით ვართ მზად ხელგაშლილი ვიყოთ. მართლაც, თუ სიმინდი მოგყავთ, ტაროს იღებთ, ნაქუჩსა და ღეროს ყრით, მაშინ კვებითი ღირებულების მხოლოდ 60 პროცენტს იყენებთ, დანარჩენ 40 პროცენტს კი ჰკარგავთ. ჩვენ საკმაოდ მდიდარი ვართ, რომ ასე მოვიქცეთ, ხრუშჩოვი მდიდარი არ არის.

აქ არის აგრეთვე ზოგი რამ, რაც ხრუშჩოვს აინტერესებს. მას სურს გამოარკვიოს, როგორ შეუძლია შეერთებულ შტატებში ადამიანთა 12 პროცენტს უზრუნველყოფდეს მსოფლიოში კვების ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს და ამავე დროს აწარმოებდეს საკმაო ნაჭარბს იმისათვის, რომ აწუხებდეს ბ-ნ ბენსონს (სოფლის მეურნეობის მინისტრს), აგრეთვე სურს გამოარკვიოს, რატომ მუშაობს ადამიანთა 50 პროცენტი საბჭოთა კავშირში იმაზე, რომ უზრუნველყოს კვების მნიშვნელოვნად უფრო დაბალი დონე, აგრეთვე რატომ არის საკრო ინდოეთის მოსახლეობის 85 პროცენტი, რომ უზრუნველყოს ინდოეთში კვების დონე, რომელიც ახლო დგას შიმშილობის დონესთან.

იგი საგნების არსს უყურებს — იგი ზერელე არ იქნება.

კითხვა. არის თუ არა კიდევ რაიმე, რაც მან შეიძლება ისწავლოს აიოვაში?

პასუხი. ამ გზაფხულზე მე საბჭოთა კავშირში ვიყავი და დავინახე ცხვრები, რომლებიც, გენეტიკის თვალსაზრისით, მე ვფიქრობ, ო�იოდე წლით უფრო წინ წავიდნენ ჩვენი ქვეყნის ცხვრებზე. მაგრამ ისინი ამ ცხვრებს ისეთი ნაგებობებიდან არწყულებენ, რომელიც ცნობილია, როგორც „თურქული ჭა“ — 4 ფუტი სიგანისა ვერტიკალურად მდგომი სარი, რომელზეც კავი, და გრძელი ძველი ჭოკით, რომლის ბოლოზე ვედრო ჰკიდია. ისინი ამას დაბლა უშვებენ 50 ფუტის სიღრმის ჭაში და ამოიღებენ ხოლმე 3 გალონ წყალს. ამგვარად იღებენ წყალს რუსეთის მეტ წილ რაიონებში, აგრეთვე ყველან ევრობის სამხრეთ ნაწილში. მათ ბევრი აქვთ ეს „თურქული ჭები“. ამერიკის შეერთებული შტატების ყოველ ნაწილში კი წნევით ონკანიდან მიღებული ტონა წყალი 5 ცენტი ღირს. ამრიგად, იგი მოისურვებს ზოგი რამ შეიტყოს ამის შესახებ.

კითხვა. თქვენ ხომ ელაპარაკეთ მას ამის შესახებ?

პასუხი. რა თქმა უნდა. მე ვიცინოდი ამაზე. ხრუშჩოვი თვითონ ყოფილა მწყემსად და თვითონ დაუწყია ამით, და პასუხად მანაც გაიცინა. მან თქვა, რომ მილიონობით გალონი წყალი ამოუღია ასეთი ძველი „თურქული ჭებიდან“, და მან იცოდა, რაზეც ვლაპარაკობდი. მას შეუძლია იყიდოს წყლის მოსამარაგებელი პატარა ამერიკული დანადგარი, რომელიც 400 ან 500 დოლარი ღირს, და მიიღოს წყალი ტონა 10 ცენტად.

კითხვა. თქვენ მხედველობაში გაქვთ გაზოლინის ძრავიანი დანადგარი?

პასუხი. მათ ბევრი ელექტროენერგია აქვთ.

კითხვა. შეძლებენ თუ არა ისინი გამოიყენონ ელექტრობა იქ, სადაც ცხვარი ჰყავთ?

პასუხი. დიახ, უეჭველად. ისინი იცნობენ წყალმომარაგების სისტემებს, მაგრამ მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ ბევრი ემუშავნათ ამაზე.

კითხვა. როგორია საბჭოთა კავშირში საქმის გითარება სიმინდის მხრივ? მართალია, რომ სიმინდი იმ ჩრდილოეთ ჰავაში მწიფდება?

პასუხი. მართალია, რომ ვერ მწიფდება. სიმინდს, რომელსაც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილებში იღებენ, ისინი სილოსად იყენებენ. საქმე ის არის, რომ რუსეთის ყველა რაიონში 90 პროცენტი სიმინდი უნდა მწიფდებოდეს მინეპოლისის განედებში ან უფრო ჩრდილოეთით, 90 პროცენტი სიმინდი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგვყავს, მწიფდება მინეპოლისის განედებში ან უფრო სამხრეთით. ამრიგად, მათი სიმინდი იგივე არ არის, რაც ჩვენში, მაგრამ იგი იგივეა იმ თვალსაზრისით, რომ ჰექტარი სიმინდი, რომელმაც ჭყინტლ და ბაზ მდგომარეობას ან უფრო მაღალ სიმწიფეს მიაღწია, დაახლოებით 3-ჯერ მეტ კვებითს ერთეულს იძლევა, ვიდრე ჰექტარი შერია, რომელიც ამ პირობებში მწიფდება.

კითხვა. წარმატებით მოჰყავთ თუ არა რუსებს სიმინდი ამჟამად?

პასუხი. დიახ.

კითხვა. მაშასადამე, ხრუშჩოვის დიდი ექსპერიმენტი სიმინდის დარგში წარმატებით დამთავრდა?

პასუხი. უეჭველად. ხრუშჩოვი ჭკვიანი კაცია, მაგალითად, მან იცის, რომ სიმინდი, რომელიც ვერ მწიფდება, მეტ მოსავალს იძლევა კვებითი ერთეულების მიღების თვალსაზრისით, ვიდრე შვრია, რომელიც მწიფდება. მაგრამ ჩვენ შეერთებულ შტატებში ეს არასოდეს არ გიცოდნიო. ჩვენ განვაგრძობთ შვრიის მოყვანასა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაზე არაეფექტური კულტურაა, რომელიც კი კაცობრობამ იცის.

კითხვა. აი თქვენ იმოგზაურეთ რუსეთში და შეგიძლიათ სოფლის მეურნეობის მათი სისტემა ჩვენს სისტემას შეადაროთ. რაში მდგომარეობს ჩვენი წარმატებების საიდუმლოება, რომელიც მათ ჯერ კიდევ ვერ გაუხსნიათ?

პასუხი. ან რას ვეუბნები ხრუშჩოვს, რა ესაჭიროებათ მის ფერმერებს: მექანიზებული სოფლის მეურნეობა — ეს ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება. შემდეგ სასუქი. და ჰიბრიდული თესლი, რომელიც მათ ახლა აქვთ.

კითხვა. რუსეთში იყენებენ თუ არა მინერალურ სასუქებს?

პასუხი. შედარებით ცოტას. დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ათი წლის წინათ იყენებდნენ.

კითხვა. ამრიგად, მათ დაბალი მოსავლიანობა აქვთ?

პასუხი. დიახ, მართალია. ამრიგად, ის მეორე გარემოება, რომლის შეტყობაც სურს ხრუშჩოვს, არის სასუქების სწორი გამოყენება, რამდენადაც ჩვენ მათ ძალიან დიდი მაშუმბანი ვიყენებთ. ისიც აპირებს გამოიყენოს სასუქები, როგორც კი შეძლებს ააშენოს ქიმიური ქარხნები.

კითხვა. რას იტყვით ეკონომიური სისტემების სხვაობის შესახებ? ხომ არა ფიქრობთ, რომ ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი დონის მიზეზი?

პასუხი. ვფიქრობ, რომ აქ, რა თქმა უნდა, არის ერთგვარი განსხვავება. მე კომუნისტი არა ვარ, და აღფრთოვანებული როდი ვარ კომუნისტური ადმინისტრაციული სისტემით, მაგრამ ძალიან გულახდილად გეტყვით, რომ ვფიქრობ, რომ ისინი ერთიოროად მეტ წარმატებას მიაღწევენ, ვიდრე ფეოდალური ქვეყნები, რომლებმაც უარი თქვეს შეეცვალათ თავიანთი სისტემა.

ახლა აი რას ვეუბნები მათ: ხორცის მეტი რაოდენობით მიღებისათვის დაიწყეთ სიმინდით, რომელიც უდიდესია ყველა საკვები კულტურებიდან. სიმინდის მოყვანის პირველი მომენტია ჰიბრიდული თესლის მიღება, მეორე — მანქანების გამოყენება, მესამე — გაპატივება და მეოთხე — რწყვა. შემდეგ უნდა გქონდეთ ორი ნაკლებმნიშვნელოვანი რამ: ინსექტიციდები, რათა მწერები მოსპოთ, და ჰერბიციდები — სარეველების მოსასპობად. ამრიგად, ეს ყველაფერია, რაც შეერთებულ შტატებში ვვაქვს სიმინდის მოსაყვანად. შეერთებულ შტატებში ყოველივე ამის გამოყენებით ჰექტარზე იღებენ დაახლოებით 60 ცენტნერ სიმინდს მარცვლად. ტენიან რაიონებში ეს, რა თქმა უნდა, მოურწყავად კეთდება.

კითხვა. მაშ რაშია საქმე?

პასუხი. სიმინდს რომ მოიყვანთ, თქვენ გინდათ გადააქციოთ იგი ცილად, რომ საკმელად გამოიყენოთ. ხომ ასეა? მარცვალი ადამიანის საკმელის ცილად რომ გადავაქციოთ, ამის ყველაზე ეფექტიანი გზაა ვაჭამოთ იგი ქათმებს. ამიტომ მე ვეუბნები რუსებს, როგორ მიიღონ ეს ქათმები და როგორ გაზარდონ კვერცხმდებელი ქათმები და ბროილერები. ცხოველებს შორის ეფექტიანობის მხრივ შემდეგი სახეობაა ღორი. თქვენ შეგიძლიათ დაახლოებით ისევე კვებოთ ღორები, როგორც ქათმებს კვებავთ. შემდეგ არიან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ცხვრები — მცოხნავი ცხოველები, რომლებსაც შეუძლიათ ჭამონ უჯრედისა, სამინდის მცენარის ის ნაწილი, რომელიც ნარჩენებად მიდის. მე მათ ვეუბნები, როგორ უნდა კვებონ ამით. აშკარად რუსებმა ბევრი იციან ღორისა და ქათმის კვების რაციონების შესახებ, მაგრამ მათ არ იციან უჯრედისისა და შარდოვანას გამოყენება თავიანთი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. ამრიგად, ეს შემდგომი დიდმნიშვნელოვანი პუნქტია მათს დღის წესრიგში.

კითხვა. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოება საბჭოთა კავშირში ესოდენ რატომ ჩამორჩება შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო წარმოებას?

პასუხი. მიზეზი ძალიან მარტივია: საჭიროა გქონდეს მაღალი მოსავალი იმისათვის, რომ შრომის დანახარჯი დაბალი იყოს. ილინოისის შტატში სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 38 ცენტნერს შეადგენს. ილინოისის უნივერსიტეტი ამბობს, რომ საშუალო ფერმერი ილინოისში 24 წუთს ხარჯავს ცენტნერი სიმინდის წარმოებაზე. მაშასადამე, ამრიგად, თვითეული, ვინც იცის, როგორ მოიყვანოს 76 ცენტნერი ჰექტარზე, ერთ ცენტნერს სულ 12 წუთში აწარმოებს. შრომის დანახარჯი აქ, კუნ-რაპიდსში, საშუალოდ 12 წუთს შეადგენს.

ამრიგად, საჭიროა სასუქების გამოყენება. შეიძლება თქვენს განკარგულებაში გქონდეთ მთელი მანქანური მოწყობილობა, რომელიც გჭირდებათ, მაგრამ, თუ ამასთან დაგავიწყდებათ სასუქის გამოყენება, მოსავალი არ გაიდიდება, და, მაშასადამე, არ გექნებათ დაბალი დანახარჯი ბუშელის მიღებაზე. თუ თქვენ გექნებათ მთელი მოწყობილობა, რომელიც გჭირდებათ, დათესავთ სიმინდს, ხოლო სიმინდის პეპელა გაიჩანაგებს მას მთლიანად, ვერავითარ მოსავალს ვერ მიიღებთ. ამრიგად, უნდა გამოიყენოთ ინსექტიციდები და ჰერბიციდები. ყოველივე ეს ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

მართლაც, ვფიქრობ, რომ ის ფაქტი, რომ კვების პროდუქტების წარმოებისათვის რუსები იყენებენ თავიანთი მოსახლეობის ნახევარს, ჩვენ კი ჩვენი მოსახლეობის მხოლოდ ერთ მერვედს ვიყენებთ, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, რომ მათ არა ჰყოფნით მანქანები, ნაწილობრივ მინერალური სასუქებისა და ინსექტიციდების ნაკლებობაზე. ხედავთ; ყოველივე, ეს როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული? მერე რა ვუყოთ, ისინი აქ ჩამოვლენ სწორედ იმისათვის, რომ გაეცნონ სწორედ ასეთ რამეს.

კითხვა. ყველა ამ მეთოდს რომ გამოიყენებენ, რომლებიც გინდათ მათ ასწავლოთ, შეძლებენ თუ ვერა მათი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ისეთივე პროდუქტიული გახდნენ, როგორიც თქვენი ფერმაა?

პასუხი. დიახ. უფრო მეტიც, ვფიქრობ, ისინი უფრო პროდუქტიული იქნებიან. ამის (შესახებ სიმაოლე ამაში მდგომარეობს, რომ ამერიკული ფერმის საშუალო ოდენობა დიდდება და რომ გარკვეულ ფარგლებში, რაც უფრო დიდია ფერმა, იგი მით უფრო ეფექტიანი უნდა იყოს. ისე რომ მათ, საბჭოთა რუსეთში, მსხვილი ფერმები აქვთ. მეორე მხრივ, მე ვიყავი იუგოსლავიაში, და იქ ისეთივე წვრილი გლეხური ნაკვეთები აქვთ, როგორიც საფრანგეთსა და ევროპის ბევრ სხვა ნაწილშია. ეს გლეხური ნაკვეთები ჩვეულებრივ შეადგენენ დასახლებული პუნქტიდან სამ ადგილას გაფანტულ 4 ჰექტარ მიწას. ასეთი მეურნეობის მექანიზება სრულიად შეუძლებელია. ისინი, მართალია, კერძო მფლობელობაში იმყოფებიან, მაგრამ ფერმერს თუ იგი კერძო წესით ფლობს მიწას, ერთადერთი გარანტია აქვს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია შიშშილით მოკვდეს. და აი ამჟამად მათ იქ იწყეს იმის შექმნა, რასაც ისინი კოოპერატივებს უწოდებენ, — ეს ცოტა უფრო რბილი სიტყვაა, ვიდრე კოლექტივიზაცია. ეს უფრო განსხვავებაა სიტყვების მნიშვნელობაში, ვიდრე განსხვავება სინამდვილეში.

კითხვა. როგორ ფიქრობთ, ბევრი რამის მიღწევას შეძლებს ხრუშჩოვი თავისი დიდი საბჭოთა ფერმების პროდუქტიულობის ამაღლებაში?

პასუხი. რა თქმა უნდა, რამდენადაც საბჭოთა რუსეთის დიდი ნაწილი არასაკმაო ტენიანობის ზონაშია, ისინი, ალბათ, ვერასოდეს ვერ მიაღწევენ იმას, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყოს მოსახლეობის 12 პროცენტი, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია. მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი, რა თქმა უნდა, შედარებით ადვილად ისწავლიან. როგორ გაკკეთონ, რომ მათი ადამიანების 50 პროცენტის ნაცვლად 25 პროცენტი კვებავდეს 100 პროცენტს.

კითხვა. თქვენ ორჯერ ინახულეთ ხრუშჩოვი რუსეთში?

პასუხი. დიახ, იგი ორჯერ ვნახე. მე იქ სამჯერ ვიყავი.

კითხვა. რა თქვენ შესაძლებლობა გქონდათ გელაპარაკათ მასთან რაღაც დროის განმავლობაში?

პასუხი. დიახ, მჭონდა.

კითხვა. როგორია თქვენი შთაბეჭდილება ხრუშჩოვზე? როგორი ადამიანია იგი?

პასუხი. სწორედ ისეთივე, როგორიც ყოველი ფერმერი აიოვიდან, კანზასიდან ან ნებრასკიდან, რომლებსაც მე შევხვედრივარ. იგი მაგარი ადამიანია. მაგრამ რაც ეხება საუბრის მიმდინარეობას, დანამდვილებით არავითარი სიძნელე არ გამომიცდია მასთან. შემიძლია ვუთხრა მას იგივე, რაც თქვენ გითხართ, და მან საწინააღმდეგო არაფერი მითხრას ან ხუმრობით არ მიპასუხოს. მასთან ადვილია საუბარი.

ახლა მინდა გითხრათ, რომ არა მსურს ვინმეს ეგონოს, რომ მიყვარს იგი, და არა მსურს დავიცვა ყველაფერი, რაც მას გაუკეთებია, მაგრამ ვფიქრობ საჭიროა გამოიყოს, რომ არსებობს ამ ისტორიის ორი მხარე, რა თქმა უნდა, რაც შეეხება მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. ხრუშჩოვსა და სტალინს, ეს მათი საქმეა, შეიძლება ჰქონდეთ ქვეყნად ყველაზე ულმობელი, სასტიკი და ჯიუტი ადამიანების რეპუტაცია. მაგრამ ყველაფერი შავი როდია. ბოლოს და ბოლოს, მათ შემოიღეს განათლება — საყოველთაო განათლება კომუნისტურ ქვეყნებში, ისინი ადამიანებს უკეთეს საბინაო მომსახურებას აძლევენ. მათ მოსახლეობაზე ერთგვარი მატერიალური გაუმჯობესება, რაც ადამიანებს ერთგვარი იმედი ჩაუნერგა.

მე ვიტყოდი, რომ მათ საოცრად ბევრს მიაღწიეს. მეფეების დროს მათს ქვეყანაში ფოლადის გამოდნობა მილიონი ტონა იყო, ახლა კი 56 მილიონი ტონა აქვთ. ამრიგად, მათ შეუძლიათ დაიწყონ ტრაქტორების, ავტომობილების მშენებლობა და ა. შ.

„პრავდა“, 15/XI.

მეცნიერება და ტექნიკა

ჩაიბა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი დიდ მუშაობას აწარმოებს ციტრუსოვანთა და სხვა სუბტროპიკული კულტურების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ საშუალებების შესასწავლად. ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა თ. გიორგობაინმა და პ. ქვარცხავამ აღმოაჩინეს და შეისწავლეს სუბტროპიკული კულტურების მრავალი მავნებელი და დაავადებათა გამომწვევი, შეიმუშავეს ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სურათზე: პ. ქვარცხავა იკვლევს სუბტროპიკული კულტურების დაავადების გამომწვევს.

ფოტო ნ. ჯომიდავასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

* * *

მიწისქვეშა ჰესი

იციან თუ არა თქვენ, რომ ჰიდროელექტროსადგურს შეუძლია იმუშაოს აგრეთვე მიწის ქვეშ? ორი ასეთი მიწის ქვეშა ჰესი შენდება საქართველოში, ტყვარჩელის ქვანახშირის აუზში. პატარა მდინარე ლალიძის წყალი ორი დამხმარე მილით ჩაეშვება შტოლნებში, სადაც იდგმება ელექტროსადგურის ტურბინები. ვარდნილი ნიაღვრის ძალა მოძრაობაში მოიყვანს ტურბინებს. ტურბინებში გავლის შემდეგ ღალიძის წყალს კვლავ ამოიყვანენ ზედაპირზე და გამოიყენებენ სხვა დანიშნულებისათვის.

მსოფლიოში პირველი მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურების ენერგია საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ყველა პროცესის ელექტროფიცირება ახალ შახტში.

მზე იძლევა... სიგრილეს

ზაფხულის პაპანაქება ხიცხეა. ტემპერატურა შენობაში 30 გრადუსს აღემატება. ძნელია ასეთ პირობებში მუშაობა. მაგრამ არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი: საკმარისია ოთახში პატარა დანადგარი ჩართოთ, რომ ტემპერატურამ 10-15 გრადუსამდე დაიწიოს. თურქეთისა მეცნიერებმა შექმნეს მზის მაცივრის საცდელი ნიმუში. მისი დანიშნულებაა ჰაერის გაგრილება შენობებში. ამ დანადგარის საპროექტო ძალოვნება დაახლოებით ათასი კილოკალორიაა საათში. ეს საკმარისია ჰაერის გასაგრილებლად 12-15 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახში. წინასწარი მონაცემების თანახმად ასეთ მაცივარს შეუძლია ჰაერის ტემპერატურა დასწიოს ნოლ გრადუსამდე და უფრო დაბლა, ხოლო მომავლისათვის გათვალისწინებულია მისი გამოყენება ყინულის შესაქმნელად. ასე რომ ნახევარგამტარი მასალების საშუალებით მზის ენერგიის ელექტროენერგიად გადაქცევის გზით მეცნიერები იღებენ ხელოვნურ სიცივეს.

ლონდონის გაზეთები აღტაცებით აღნიშნავენ: ფანტასტიკურია!..

წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები ლონდონში. ინგლისელი მაყურებლები აღფრთოვანებული არიან ქართველ მოცეკვავეთა ქორეოგრაფიული ხელოვნებით. ალბერტ ჰოლის საკონცერტო დარბაზში ყოველ კონცერტს 6.000-მდე მაყურებელი ესწრება. თვითეულ ნომერს რამდენჯერმე ამეორებინებენ. ლონდონის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ქართველ მოცეკვავეთა კონცერტებს, მაღალ შეფასებას აძლევენ ქართულ ცეკვებს, მოცეკვავეთა შესრულებითს ოსტატობას.

გაზეთი „დეილი ექსპრესი“ წერს: „29 ულაშაანმა ქართველმა ვაჟკაცმა და 13 წარმტაცმა ქართველმა ქალიშვილმა გუშინ ალბერტ ჰოლში ჯერ უნახავი, გრანდიოზული სპექტაკლი წარმოადგინა. ქართველებმა ყოველგვარ მოლოდინს გადაუჭარბეს. ისინი ძალიან ელეგანტურიც არიან. ქართული ცეკვა მეტად ვაჟკაცურია. ამაყი ვაჟკაცები სცენაზე თითის წვერებზე ლამაზად დგებიან. ისინი ცეკვით ახორციელებენ ძველ ლეგენდებს“.

შემდეგ რეცენზენტი აღნიშნავს: „ერთი წლის წინათ შეეტყვე ქართული ცეკვის ის საუკუნეობრივი ტრადიცია, რომ ვაჟკაცები ცეკვავენ ფეხის ცერებზე, როგორც პროფესიონალური ბალერინები. ახლა პირველად ვხედავთ ამას ლონდონში. მებრძოლების მსგავსი ვაჟკაცები ფეხის ცერებზე დგებიან, ჯადოსნურად ტრიალებენ და ბოლოს მუხლებზე ხტებიან, რაც ცეკვის დაგვირგვინებას წარმოადგენს. არაჩვეულებრივია აგრეთვე ვაჟკაცებისა და წარტაცი ქალიშვილების ერთად ცეკვა. ანსამბლის ორმოცდაორივე წევრი უნაკლოდ ცეკვავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლის ხელმძღვანელების ნინო რამიშვილისა და ალეკო სუხიშვილის ნამუშევრები“.

გაზეთი „დეილი მეილი“ აქვეყნებს რეცენზიას, რომლის სათაურია „ქართველი მოცეკვავენი მიუწვდომელი არიან“. წერილის აეტორი წერს: „ყველა, ვისაც კი რამე გაეგება ცეკვისა, გუშინ მიიჩქაროდა ალბერტ ჰოლში, სადაც გამოდიოდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. ტანწერწეტა, მომხიბლავი, შავთვალწარბა გრძელკაბიანი ქალიშვილები დასრიალებენ ფეხის ცერებზე მდგომ ვაჟკაცებს შორის, თითქოს ყინულზე დასრიალებენო, ისე, როგორც ეს გვიჩვენა ამ რამდენიმე წლის წინათ „ბერიოზკას“ ანსამბლმა. მაგრამ გუშინ მოცეკვავე ქალიშვილების სინარნარე და მომხიბლაობა წარმოადგენდა კონტრასტებს შავულვაშებიან ვაჟკაცებთან, რომლებიც გრიგალივით დაქროდნენ მათ ირგვლივ. მოგვაჯადოეს. დასასრულ ისინი ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვეს. მიღოცვებისა და მადლობის შემდეგ ქალიშვილებს ნინო რამიშვილის მეთაურობით მიართვეს ყვავილების ყალათები და შოკოლადები. რამდენიმე ცეკვა სამჯერ გაამეორებინეს“.

ლონდონის ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთ „დეილი მირორში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში სხვათა შორის ვკითხულობთ: „ქართული საბრძოლო ცეკვები ძველ ქართულ ტრადიციებს გამოსახავენ. კოსტიუმები ძალიან კოლორიტული აქვთ“.

„ქართველმა მოცეკვავეებმა ყველა განაცვიფრეს“, ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „ბენინგ სტანდარტი“ ჯონ მონიანის რეცენზიას. სხვათა შორის წერილში ვკითხულობთ: „ქართველები ცეკვავენ, დასრიალებენ, დახტიან და ისე ებრძვიან, თითქოს ნამდვილი მებრძოლებიაო. ქართველმა მოცეკვავეებმა ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოადგინეს. როცა დარბაზში მყოფ გამოჩენილ ესპანელ მოცეკვავეს ისტობან სერდას შეეკითხე ქართველი მოცეკვავეების შესახებ, მან ალტაცებით წამოიძახა: „ფანტასტიკურია!“.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტებს ვრცელი რეცენზიებით გამოეხმაურნენ აგრეთვე ლონდონის გაზეთები „სანდი ტაიმსი“, „ობსერვერი“ და სხვ.

კ ო მ ე უ ნ ი კ ე

მიმდინარე წლის 11-14 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტროენერგიის საკითხთა მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა.

კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციებმა.

დაუვიწყარი შეხვედრები

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დიდხანს ეხსომებათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში, რაც ამ ორი ხალხის მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა. კვირეულის დღეებში ქართველი საზოგადოებრიობა გაეცნო ნიჭიერი და შრომისმოყვარე პოლონელი ხალხის მკაფიო, შთამაგონებელი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ერთნაირი სტუმართმოყვარეობით გაუღეს მათ კარი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა თბილისმა, მზიურმა აჭარამ, რუსთავმა და ქუთაისმა.

მეგობართა ეს გულთბილი შეხვედრები და კვირეულის მონაწილეთა ცალკეული გამოსვლები ფირზე აღბეჭდეს ქრონიკულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის მუშაკებმა და მას კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ ორი ნომერი მიუძღვნეს. ჟურნალის რეჟისორია გ. ახათიანი, ოპერატორები გ. ახათიანი, ლ. არზუმანოვი, ო. დეკანოსიძე და ვ. კურიანი. ტექსტის ავტორია მ. სალუქვაძე.

ჟურნალის პირველი კადრები გადაღებულია თბილისის აეროდრომზე, სადაც პოლონელ სტუმრებს თბილისელები გულთბილად შეხვდნენ. მეგობრულად ჩაიარა აგრეთვე შეხვედრამ, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. კუჭავამ მოუწყო პოლონეთის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს.

ეკრანზეა საზეიმოდ მორთული კინოთეატრი „სპარტაკი“, სადაც პოლონური ფილმების ფესტივალი მიმდინარეობდა.

შემდეგ კადრებს გადავყავართ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კვირეულის საზეიმო გახსნაზე. თბილისელებს დიდხანს ეხსომებათ ირინა ვანნაარსკაიას, ვაცლავ დომინეკიცისა და ეფი პოდსიადლოს სასიამოვნო ხმა და სიმღერის მაღალმხატვრული შესრულება, რასაც კინოჟურნალშიც მოისმენენ მაყურებლები.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში პოლონელი მეგობრების მოგზაურობა ინდუსტრიული რუსთავით დაიწყო. შემდეგ კი საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში გაემგზავრნენ, ეწვივნენ ქათაისელ მეავტომობილეებს, კინოჟურნალი პოლონელ მეგობრებზე

ნა ვანნაარსკაიას, ვაცლავ დომინეკიცისა და ეფი პოდსიადლოს სასიამოვნო ხმა და სიმღერის მაღალმხატვრული შესრულება, რასაც კინოჟურნალშიც მოისმენენ მაყურებლები.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში პოლონელი მეგობრების მოგზაურობა ინდუსტრიული რუსთავით დაიწყო. შემდეგ კი საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში გაემგზავრნენ, ეწვივნენ ქათაისელ მეავტომობილეებს, კინოჟურნალი პოლონელ მეგობრებზე

როტ წყალტუბოს, ინახულეს აბაზანები, სანატორიუმები, დაინტერესდნენ წყალტუბოს ისტორიით, კურორტის სამკურნალო თვისებებით.

ეკრანზეა კვლავ მეგობართა შეხვედრები, ამჯერად მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში.

აჭარის მშრომელებმაც გულწრფელი სიხარულით მიიღეს მეგობრები.

შემდეგ ისევ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, სადაც ქართველი და პოლონელი მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კვირეულის დასკვნითს კონცერტზე.

მ. კობახიძე.

* * *

სურათზე: კადრი ფილმიდან.

ჩინელი მეცნიერი ზუგდიდში

როცა ჩინელი მეცნიერი დაო ჩან-და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს ეწვია, ფილიალის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბურჭულაძე მას ძმურად გადაეხვია.

ჩინელ მეცნიერსა და ქართველ მეცნიერს ძველი მეგობრობა აკავშირებთ. ჯერ კიდევ 1952-1953 წლებში თ. ბურჭულაძე მივლინებული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, საიდანაც მას საქართველოს მეჩაიეობის რაიონებისათვის მსოფლიოში ცნობილი მაღალმოსავლიანი და საუკეთესო ხარისხის ჩაის „კიმონის“ თესლი უნდა ჩამოეტანა. თ. ბურჭულაძეს არასოდეს არ დაავიწყდება ჩინელი მეგობრების გულისხმიერება და სტუმართმოყვარეობა. მან ინახულა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და საცდელი სადგურები, რომლებიც მუშაობენ ჩაის საუკეთესო ჯიშების გამოყვანაზე შანხაიში, ხანჭოუში, ანბოის, ხანკოუს, ხუნანის, ტუნჩინის, ხუბეისა და პინშეის პროვინციებში.

როცა ჩინეთის მეჩაიეობის რაიონებში გაიგეს, საბჭოთა კავშირისათვის ხეჭიროა თესლის დამზადებაო, ჩინელმა მეგობრებმა უმოკლეს ვადაში, სამ დღეში, 370 ტონა ჩაის თესლი დაამზადეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 ტონისა.

თ. ბურჭულაძე ნანკინის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში გაეცნო დაო ჩან-დას, რომელიც, ჯერ კიდევ გუშინდელი სტუდენტი, მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა.

ახლა უკვე ნანკინის ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დაო ჩან-და აკადემიკოს მიხ. დარასელიასთან ერთად ხოფელ რუხს ეწვია. ჩინელი მეცნიერი გაეცნო ჩაისათვის და სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის ნიადაგის პირველადი დამუშავების ხერხებს. დაინტერესდა ჩაის პლანტაციების მორწყვით და მისი გავლენით ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე.

დაო ჩან-და აღფრთოვანებული დარჩა სახოფლო-სამეურნეო არტელის მიღწევებით. მას მოეწონა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების ხერხები, პლანტაციებში მექანიზაციის გამოყენება, განცვიფრებაში მოიყვანა ჩაის მაღალმა მოსავლიანობამ.

რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა ა. როგავამ ძვირფას სტუმარს უამბო კოლმეურნეობის მიერ ჩაით მიღებულ შემოსავალზე, რომელმაც წელს 15 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მან სტუმარს უამბო რუხელ კოლმეურნეთა შეძლებულ ცხოვრებაზე, შვიდწლედში სახოფლო-სამეურნეო არტელის პერსპექტივებზე. ჩინელ მეცნიერზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა რუხელ კოლმეურნეთა გულღია და სტუმართმოყვარულმა დახვედრამ.

დაო ჩან-დამ რუხში და ზუგდიდის ჩაის საკვლევი ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებში აიღო ნიადაგის ნიმუშები, რომელსაც იგი ჩინურ ნიადაგს შეადარებს და გამოიკვლევს ქართული და ჩინური ნიადაგების ფიზიკურ და ქიმიურ შედგენილობას.

სამ დღეს იმყოფებოდა ჩინელი მეგობარი ზუგდიდში. ზუგდიდელი მშრომელები უველგან დიდი სიხარულით ეგებებოდნენ სასურველ სტუმარს, რომელზეც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ზუგდიდის ღირსშესანიშნაობებმა. მას განსაკუთრებით მოეწონა ზუგდიდის კულტურისა და დასვენების პარკი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეატრი და სხვა ადგილები.

ჩინელმა მეცნიერმა წასვლის წინ დიდი მადლობა გადაუხადა რაიონის მშრომელებს, ფილიალის თანამშრომლებს გულთბილი მიღებისათვის.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ღელის პირას

იტაცებს წყალთა ნელი ჩხრიალი,
ბის და ოცნებობს ღელესთან მარტო.

ატკბობს ფოთლების ჩუმი შრიალი,
მის წინ მომავლის გზა არის ფართო.

ფოტო ო. ნოზაძისა.

(წარმოდგენილია ფოტოკონკურსზე).

პერიგე იწვევს ნ. ს. ხრუშჩოვს

პარიზი, 15 ნოემბერი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი — პერიგედან იუწყება, პერიგეს საქალაქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თავის ქალაქში მიიწვიოს საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში მისი ოფიციალური ვიზიტის დროს მომავალი წლის მარტში.

ძმათამკვლელი ომის წინაალმდეგ

ბალდადი, 16 ნოემბერი. (საკადესი). ჟურნალ „არბაათაშ თამუზის“ („14 იულისი“) გამომცემლის ქ-ნ ნაიმე ვაქილისადმი ინტერვიუში ერაყის პრემიერ-მინისტრმა ყასემმა დაგმო იმპერიალისტთა მოქმედება, რომლებიც ცდილობენ გაჩაღონ ერაყში ძმათამკვლელი ომი. „იმპერიალისტები, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — ვერასოდეს ვერ დაძლევენ ჩვენს ძლიერ და მამაც ხალხს... ისინი, ვინც პატიოსნად ემსახურებიან თავიანთ ხალხს, მუდამ უფრო ძლიერი არიან, ვიდრე გამცემლები და იმპერიალიზმის ლაქიები“.

ერაყის რესპუბლიკა, ხაზგასმით აღნიშნა ყასემმა, გადაიქცა ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი მოძრაობის, აგრეთვე პროგრესის მტკიცე დასაყრდენად შუა აღმოსავლეთში.

ფუჭი მანევრები

თეირანი, 17 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ დაიწყო სენტოს მონაწილე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების წვრთნის პირველი ეტაპი. როგორც გაზეთი „ქეიხანი“ იუწყება, ირანის მხრივ წვრთნაში მონაწილეობს 7 სამხედრო ხომალდი.

საგლეხოოლეთი

„დიადი მეტოქეობა“ და არა ატომური ომი

ჰერტერის გამოსვლა ნიუ-იორკში

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი. (საკადესი). სახელმწიფო მდივანმა კ. ჰერტერმა დღეს ნიუ-იორკში საგარეო ვაჭრობის ეროვნული საბჭოს სესიაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „მზად არიან მიემხრონ“ საბჭოთა კავშირს ორი სისტემის შეჯიბრების მშვიდობიანი ხასიათის უზრუნველყოფისა და სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილების გზების გამოძებნაში „ცოცხალზაციის შენარჩუნების“ ინტერესებისათვის.

ჰერტერმა თქვა, რომ ახლა, როცა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ახალ ფაზაში შედიან, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს „მშვიდობის ახალი ერა შეჯიბრების საფუძველზე“, საჭიროა გამოიძებნოს ორი სოციალური და პოლიტიკური სისტემის ურთიერთობის ახალი ხასიათი. თანამედროვეობის უპირველესი საკითხი, თქვა ჰერტერმა, არის საკითხი, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა „დიადი მეტოქეობა“ ორ პოლიტიკურ სისტემას შორის არ გადაიქცეს „თერმოატომგულის ომად“.

ჰერტერმა გაიხსენა ნ. ს. ხრუშჩოვის არაერთგზის მოწოდება გამოიძებნოს „საერთო ენა“ საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს. სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ამ მისწრაფების „ფუნდამენტურ საფუძველს“ შეადგენს ერთობლივი მისწრაფება თავიდან იქნას აცილებული კატასტროფული ომი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სიტყვით, ამოცანა ის არის, რომ ამ საერთო საფუძველზე შემუშავდეს რაღაც „ძირითადი წესები დიდი შეჯიბრებისა“ (ორი სისტემის. — კორ. შენიშ.), რათა ეს შეჯიბრება მიმდინარეობდეს იმ პირობების ჩარჩოებში, რომლებიც საჭიროა „არსებობის ურთიერთ შენარჩუნებისათვის“. ასეთი წესები, განაცხადა ჰერტერმა, უნდა შემუშავდეს, რათა „შენელდეს მწვავე პოლიტიკური პრობლემები, რომელთა სავსებით გადაჭრა ახლა შეუძლებელია, აგრეთვე შეუძლებელია გამალებული შეიარაღების სპირალის კონტროლი...“

ქარიშხალი იტალიასა და ინგლისში

პარიზი, 14 ნოემბერი. (საკადესი). იტალიაში ქარიშხალი მძვინვარებს. კოკისპირული წვიმების შედეგად მდინარე პოს დაბლობში და კალაბრიაში მოხდა წყალდიდობა.

6 საათის განმავლობაში მესინის სრუტეში შეწყდა ნაოსნობა. სიცილიაში ქარი ქროდა საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით.

ძლიერი გრიგალი, რომელსაც თან ახლავს კოკისპირული წვიმები, შეიჭრა გუშინ ინგლისის სამხრეთ რაიონებში. დრო და დრო ქარის სიჩქარე აღწევდა 165 კილომეტრს საათში. გზების უმრავლესობა წალეკილია. წყალდიდობის შედეგად ქალაქი ფოლკსტონი მოწყდა შინაგან რაიონებს.

კუბა მოითხოვს: ქარგი ურთიერთობა თანასწორობის საფუძველზე

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკადესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, კუბის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ორ ნოტას, რომლებიც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ კუბაზე.

კუბის მთავრობა ნოტით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აღკვეთოს იმ წრეების მოქმედება, რომლებიც აქეზებენ და მხარს უჭერენ სამხედრო დამნაშავეთა და მოღალატეთა საქმიანობას, რომლებმაც თავშესაფარი ჰპოვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კუბის მთავრობა ბრალს სდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ მათი ტერიტორიიდან ხდება დანაშაულებრივი თავდასხმები კუბის უმწეო ქალაქებზე. კუბის მთავრობამ მოითხოვა ბოლო მოეღოს სიცრუისა და შეურაცხყოფის კამპანიას კუბის რევოლუციური მთავრობისა და კუბელი ხალხის წინააღმდეგ, რასაც აწარმოებენ ამერიკის პრესა და რადიო.

ნოტაში ნათქვამია, რომ კუბის რევოლუციურ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განახორციელოს დიდი ეკონომიური და სოციალური გარდაქმნების პროგრამა.

კუბის მთავრობის ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ შეერთებული შტატები „გადასინჯავენ და შეცვლიან თავიანთ პოლიტიკასა და პოზიციას კუბის მთავრობისა და ხალხის მიმართ“. რაც შეეხება კუბას, როგორც ნათქვამია ნოტაში, იგი ესწრაფვის აღადგინოს მეგობრული ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, მაგრამ მხოლოდ თანასწორობის საფუძველზე.

საით გვიწვევს როკფელერი?

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნელსონ როკფელერი ამჟამად შეერთებულ შტატებში მოგზაურობს.

საერთო აზრით, იგი ისწრაფვის შეამოწმოს ამერიკის პოლიტიკურ ბაზარზე თავისი აქციების კურსი მომავალ წელს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით. მაგრამ გუბერნატორის გამოსვლები წარმოადგენენ ინტერესს, რაშიც ლიცენციდენტ პოსტის კანდიდატის დასახელების გარშემო რესპუბლიკურ პარტიაში საშინაო ბრძოლის პრობლემების ჩარჩოებს.

დასასული გამოსვლების სერიიდან მისმა პირველმავე სიტყვამ, რომელიც ლოს-ანჟელოსში წარმოთქვა, ცხადყო, რომ გუბერნატორი აპირებს თავისი გავლენა და წონა გამოიყენოს მიზნებით, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვუწოდოთ კონსტრუქციული მიზნები. ასეთივე შთაბეჭდილება შეიქმნა როკფელერის სხვა სიტყვების, კერძოდ სან-ფრანცისკოში მისი გამოსვლის შემდეგ, სადაც გუბერნატორი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებდა სათავეში ჩასდგომოდნენ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნას. იმ პრინციპებზე, რომლებსაც, როკფელერის აზრით, ასეთი წესრიგი უნდა ემყარებოდეს, თვითონ მან ილაპარაკა წინადღით ლოს-ანჟელოსში. იქ იგი მოითხოვდა „დაეყრდნონ სამხედრო ძალას“, ხოლო ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკება აწარმოონ მხოლოდ და მხოლოდ „ძალის პოზიციიდან“.

როკფელერი, როგორც ჩანს, შეშფოთებულია დათბობით საერთაშორისო ატმოსფეროში, რამაც გზა გაუხსნა სერიოზულ მოლაპარაკებას იმ ზავებისა და ხერგის ლიკვიდაციისათვის კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც სახელმწიფოთა ურთიერთობაში შეიქმნა ცივი ომის მრავალი წლის განმავლობაში. გუბერნატორს ალბათ არ მოსწონს, რომ დათბობის ტენდენციას მხურვალედ უჭერს მხარს ამერიკელი ხალხის უმრავლესობა, მათ შორის ბევრი თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწე. როკფელერს არ სურს, რომ დაწყებულმა შენელებამ გამოიწვიოს დაძაბულობის სრული ლიკვიდაცია. ამიტომ იგი მოუწოდებს შეინარჩუნონ ცივი ომის ძირითადი ატრიბუტები. ასეთი კურსის გასამართლებლად როკფელერი მოურიდებლად ამახინჯებს ფაქტებს, ცდილობს საბჭოთა კავშირს დააკისროს პასუხისმგებლობა ცივი ომის წარმოშობისა და მისი შედეგებისათვის. ეს იმისათვის დასჭირდა, რომ განაცხადოს, ცივი ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ „საბჭოთა კავშირის ყოფაქცევაში სერიოზული და არსებითი ცვლილების“ შედეგად.

იმ ხერხებს, რომლებსაც როკფელერი მიმართავს, არაფერი ახალი, ორიგინალური არ ახასიათებს. თვითონ იგი წარსულში ცოტას როდი ცდილობდა, რომ შეემუშავებინა და გაეუმჯობესებინა ეს ხერხები. ნელსონ როკფელერი, როგორც ცნობილია, ახალი კაცი როდია პოლიტიკაში. ტრუმენის მთავრობაში იგი განაგებდა ურთიერთობას ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და ეს ურთიერთობა მეტად მკვეთრად გაამწვავა, ხელმძღვანელობდა ეგრეთწოდებული „ტრუმენის პროგრამის მეოთხე პუნქტის“ განხორციელებას, ხოლო უფრო გვიან იყო პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ცივი ომის სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

განა უნდა გაგიკვირდეს, რომ ახლა როკფელერი გამოდის ექს-პრეზიდენტ ტრუმენთან შეთანხმებით, რომ ისინი ერთად ისწრაფვიან განაახლონ „საბჭოთა მუქარის“ საფრთხობელა, ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ და თითქმის ერთსა და იმავე დროს მოითხოვეს ატომგულის იარაღის გამოცდის განახლება, ან განა გაესვრებელია, რომ ორივე გაძლიერებით მუშაობს, რომ გამოძებნონ ახალი ფორმები და სფეროები ცივი ომის განხორციელებისათვის.

და თუ ჰარი ტრუმენი ჯერ კიდევ არ გამოსულა, რათა მხარი დაეჭირა ნელსონ როკფელერის ამასწინანდელი წინადადებისათვის, რომ ცივი ომი ძირითადად გადატანილ იქნას პოლიტიკის სფეროდან ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში, ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ დიდხანს არ მოგვიხდება ექს-პრეზიდენტის ასეთი გამოსვლის ლოდინი. ყოველივე იმაში, რაც საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების დაწყებული პროცესის დაბრკოლებას შეეხება, ტრუმენს არა სურს სხვებს ჩამორჩეს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარება, რომლის შედეგად სწრაფი ტემპით მაღლდება ამ სახელმწიფოთა ხალხების მატერიალური და კულტურული დონე, არ ემუქრება არავის უშიშროებას, იქნება ეს ეკონომიური თუ სხვა უშიშროება. პირიქით ამ ქვეყნების ეკონომიური განვითარების მაღალი ტემპი ქმნის მათთან ვაჭრობის ხელსაყრელ სტაბილურ პირობებს. ამაში დარწმუნდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საქმიანი წრეების ბევრი წარმომადგენელი, რომლებიც გაბედულად ემხრობიან სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური კავშირის განვითარებას.

შეერთებულ შტატებში აგრეთვე ძლიერდება ინტერესი ასეთი ურთიერთობის გაფართოებისადმი, რასაც მოწმობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხთა სპეციალური კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მოაწყო ამერიკელ მმართველთა ასოციაციამ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთერთმა ყველაზე გავლენიანმა საქმიანმა გაერთიანებამ.

რისთვისღა დასჭირდა როკფელერს გაწამაწია „ეკონომიური თავდაცვის საბჭოს“ შექმნის გეგმისათვის, მით უმეტეს, რომ ვაშინგტონში უამისოდაც დიდი ხანია არსებობს ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც ამუშავებს მთავრობის პოლიტიკასა და სტრატეგიას სხვადასხვა დარგში, მათ შორის ეკონომიურ დარგშიც.

ჯერ ერთი, ახალი გეგმის ავტორები, რომელთაც არა სურთ ანგარიში გაუწიონ ისტორიის ფაქტებს, განაგრძობენ იმ საშუალებათა ძებნას, რომელთაც, მათი აზრით, შეუძლიათ რაღაცნაირად შეანელონ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების მაღალი ტემპი. ამასთან ისინი ივიწყებენ იმას, რომ შეზღუდვისა და აკრძალვის პოლიტიკა სავსებით გაკოტრდა და ფაქტიურად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო — იმათ წინააღმდეგ შებრუნდა, ვინც ესოდენ დაჟინებით აზოგიელებდა მას.

მეორე, მათ იმედი აქვთ შექმნან ახალი მუხრუჭი, რომელიც დააბრკოლებდა დაძაბულობის შემდგომ შენელებას, ხელს შეუწყობდა ცივი ომის გაძლიერებას ეკონომიური ურთიერთობის სფეროში. კურსი, რომელსაც როკფელერი მოითხოვს და რომლის მიზანია ცივი ომის გაჩაღება საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის სფეროში, აღბათ შეესაბამება როკფელერების იმპერიის დიდ და მრავალფეროვან საგაჭრო და ფინანსურ ინტერესებს. ამაში, ცხადია, არც უნდა დავეჭვდეთ. მაგრამ მოახერხებს თუ არა გუბერნატორი დაარწმუნოს თავისი თანამემამულენი, რომ ერთი და იგივეა ეს ინტერესები და მთი ქვეყნის, ხალხის ნამდვილი ეროვნული ინტერესები? გვგონია, რომ ამას ვერ მოახერხებს.

ი. ორლოვი,
საკადესის მიმომხილველი.

საქართველოს პირველობაზე

მალე შეჯამდება ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივების ასპარეზობის შედეგები, გამოვლინდება საქართველოს 1959 წლის ჩემპიონი.

მორიგ ასპარეზობათა შედეგები ფოთში, სოხუმში, ბათუმსა და მახარაძეში ასეთია: „განთიადი“ (ფოთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „დინამო“ (სოხუმი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:0, „დინამო“ (ბათუმი) — 26 კომისრის რაიონის გუნდი (თბილისი) 4:0, „კოლმეურნე“ (მახარაძე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 5:1.

ჩემპიონატის ლიდერმა რუსთავის „მეტალურგმა“ დაამთავრა საქართველოს პირველობის გათამაშების მატჩები და 34 თამაშიდან 47 ქულა შეაგროვა.

კეთილშობილური საქციელი

დუშეთი, 16 ნოემბერი. (საკადესი). ოქტომბრელები ნანული ებრალიძე და თამარ დუდაური გაკვეთილების შემდეგ სკოლიდან მოდიოდნენ. ქუჩაში გოგონებმა ოქროს საათი იპოვნეს. ისინი მაშინვე სკოლაში დაბრუნდნენ და ნაპოვნი ნივთი მასწავლებელ თ. სოდოშვილს ჩაბარეს.

მეორე დღეს მოქალაქე აბაიშვილმა მიიღო დაკარგული საათი.

შეხვედრა უნგრელ მოჭიდავეებთან

თავისუფალი ჭიდაობის კარგი ტრადიციის ორი ქვეყნის — საქართველოსა და უნგრეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას თბილისელები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ამიტომ იყო, რომ გუშინ ცირკის შენობა სავსე იყო მაყურებლებით.

უნგრელი მოჭიდავეები კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად გამოირჩევიან მაღალი ტექნიკით, მრავალფეროვანი ტაქტიკით, ბრძოლისუნარიანობით. გუნდში შემავალ სპორტსმენთა უმრავლესობას საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

როგორც წესი ასეთ შეხვედრებს წინ უძღვის საზეიმო ცერემონიალები. ასე იყო გუშინაც. სარბიელზე მწყობრად გამოვიდნენ მოწინააღმდეგეები, გაცვალეს სამახსოვრო ვიმპელები, თაიგულები უძღვნეს ერთმანეთს, შესრულებულ იქნა უნგრეთისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

არენაზე გამოვიდა პირველი წყვილი — უმძიმესი წონის სპორტსმენები ა. პაგერი და თბილისელი ზ. შეყრილაძე. ახალგაზრდა მოჭიდავე ზ. შეყრილაძემ მაღალი ოსტატობით და ძლიერად ჩაატარა ბრძოლა გამოცდილ მეტოქესთან და დიდი უპირატესობით პირველი გამარჯვება მოუპოვა ჩვენი რესპუბლიკის გუნდს.

მჩატე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ლ. გუნდეტი და ზ. მჭედლიშვილი. ორთაბრძოლა მსაჯებმა შეაფასეს ფრედ.

უნგრელი გ. ჰოფმანი თავის ქვეყნის 11-გზის ჩემპიონია, ხოლო თეირანში გამართულ მსოფლიო პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა. მას საერთაშორისო შეხვედრებში ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. გუშინ იგი შეხვდა გ. ბესტავაშვილს და 7 წუთსა და 50 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

მორიგ წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ დ. ტოტი და გ. ჯინჭარაძე. აქაც გამარჯვება (ქულებით) უნგრელმა სპორტსმენმა მოიპოვა.

ქვესაშუალო წონაში გამოვიდნენ ი. ჟიბრიტო და გ. საღარაძე. ახალგაზრდა ქართველ მოჭიდავისათვის ეს მეორე საერთაშორისო შეჯიბრება იყო. მან აქტიურად ჩაატარა ბრძოლა და გაიმარჯვა ქულებით.

„ტორპედო“ ინგლისში

ლონდონი, 17 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ ლონდონში გაიმართა „ტორპედოს“ (მოსკოვი) ფეხბურთელთა გუნდის პირველი შეხვედრა ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული კლუბის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფეხბურთელებთან, რომელსაც მესამე ადგილი უკავია ინგლისის პირველობის მიმდინარე გათამაშებაში. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3 : 2 ინგლისის გუნდის სასარგებლოდ.

ერევანი, 17 ნოემბერი. (ტელეფონით). აქ დღეს გაიმართა საკავშირო პირველობის ნახევარფინალის მეორე ტური. ეს ტური იმითაც იყო საინტერესო, რომ ორივე გროსმაისტერი ე. გელერი და ი. ავერბახი პირველად ჩაეკნენ თამაშში.

ე. გელერმა შავებით ს. ჰალილბეილის წინააღმდეგ აირჩია ძველი ინდური დაცვა და შუა თამაშში ძლიერი იერიში მიიტანა ლაზიერის ფლანგზე. მძიმე მდგომარეობაში ს. ჰალილბეილი იძულებული იყო დაეთმო მოწინააღმდეგისათვის ხარახხი, მალე მან დაკარგა ფიგურა და 27-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ა. ბუსლაევისა და ი. ავერბახის პარტია. შუა თამაშში გროსმაისტერს ჰქონდა პოზიციური უპირატესობა. თბილისელი ოსტატი ენერგიულად იბრძოდა. მან კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის პასიური სვლა და ხელთ იგდო ინიციატივა. ეს პარტია არ დამთავრებულა. იგი გადადებულია ბუსლაევისათვის უკეთეს ენდშპილში.

ბ. გურგენიძემ შავებით ა. კარაჯევის წინააღმდეგ დებიუტიდან უარესი პოზიცია მიიღო და 30-ე სვლაზე დამარცხდა.

ოსტატ მ. შიშოვს ვ. ბაგიროვთან გადადებულ პარტიაში პაიკში ხარახხი აქვს და პოზიციაც უკეთესი. გადადებულია აგრეთვე ბ. გოლდენოვ-ვ. ზახარიანის პარტია.

ე. თათიოსიან-ი. ნიკოლაევსკის, ე. ჩუკაევ-ი. კლოვანსისა და ე. მნაცაკანიან-ა. გელერის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

18 ნოემბერს გაიმართება მესამე ტური.

რედაქტორის მოადგილე
აკ. ჩავლეიშვილი.

რადიო

18 ნოემბერი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგადაცემა: „ლაპარაკობს სტალინირი“, 11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.45 — კამერული მუსიკა, 17.00 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.20 — ეილენბერგი. სიუიტა ჩასაბერ საკრავთა ორკესტრისათვის, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. საუბარი: „ქიმია შენს ცხოვრებაში“, 18.05 — კონცერტი ქ. ჯაფარიძის, რ. სიკორას და მ. ალექსანდროვიჩის მონაწილეობით, 18.45 — არიები რუსული ოპერებიდან ო. კუზნეცოვას შესრულებით, 19.15 — უკრაინული ხალხური მუსიკის კონცერტი, 19.45 — გადაცემა მრეწველობის თემაზე, 20.20 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 21.00 — საუბარი: „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“, 21.20 — ა. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის ვფლი“, 21.45 — არტილერიის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 22.10 — კონცერტი რობერტ შუმანის ნაწარმოებებიდან.

თბილისის ეკრანებზე

18 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის — ერთხელ დაბოცილები, **მარჯანიშვილის სახელობის**—ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — უკანასკნელი გაჩერება (მე-7 ამონ. 1-ლი წარმ.), **სანკუოტურის** — არეული დღე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ვარსკვლავიპუნა (ამონ. № 34, 7 ს.), **თოკინების ქართული** — ზარმაცი კიკო (11 ს. და 2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი, თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მარტი, **ამირანი** (საზაფხულო) — ტარიელ მკლავაძე, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა, ჭავჭავაძის სახ